

საქართველოს  
 საზოგადოებრივი  
 განათლების  
 კომიტეტი

საქართველოს  
 საზოგადოებრივი  
 განათლების  
 კომიტეტი



განათლების  
 კომიტეტი



მ ი ნ ა ა რ ს ი

ქუჩის „ქვეყნისა“

I	გაზაფხული დაგვიდგა! სურათი . . . . .	258
II	„ვეფხვა“ (ჩემ გოგონას) ნ. გ—ისა . . . . .	259
III	რატომ აქვს ვეშაპს ვიწრო ხახა? (კობლინგისა) თარ- გმანი ალ. ფ—სა . . . . .	263
IV	გაზაფხული დაგვიდგა! კუდრაჭასი . . . . .	267
V	ცელქი გოგლა, ლექსი მ. ჯეჯეშვილისა . . . . .	272
VI	გასაოცარი მამაცობა, თარგმანი ტასოსი . . . . .	274
VII	მლაშე წყალში რათ არის უფრო ადვილი ცურვა . . . . .	277
VIII	„ჯღანუას“ თავგადასაუალი, ზღაპარი (შემდეგი) ალ. ნათაძის . . . . .	279
IX	წვრილმანი: გამოცანები, სხვა და სხვა ამბები, ახსნა . . . . .	286
—————		
X	პატარავ! ლექსი ი. მჭედლიშვილისა . . . . .	288
XI	მეძროხეები, სოფლის ცხოვრებიდან, კიკნა-ფშაველასი . . . . .	289
XII	მტრები, რუს-იაპონელთა ომის ამბავი (ინფანტივეი- სა) თარგ. ანასტასიასი . . . . .	298
XIII	ვარდი, ასკილი და ანწლი, ლეგენდა . . . . .	306
XIV	ცრუ, მოთხრობა ჯეკ-ლონდონისა, თარგ. ა. ფ—სი . . . . .	311

ქვეყნის რედაქციაში ისეიდება ახლათ დაბეჭდილი:

**მცენარეები და ცხოველები**


ცხელი ქვეყნებისა. (დასურათებული)

ნება დართული კავკ. ოლქის მზრუნველისაგან

სკოლებში სახმარებლათ.



ქართული  
საბუღარი



# საქართველო ნახატებიანი ქურნალი.

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,  
დაპურდი, განდი ყანაო.  
ი. დ.

მისი, 1914 წ.

◆ წელიწადი მეოცდახუთე ◆

საქართველო საბუღარი  
თბილისი

ელექტრომბეჭდავი „ზრომა“, მუხრანის ქ. № 12.

1914



გახეხული დაკვიდვა!

Handwritten text in purple ink, possibly a library stamp or date.



ქართული  
ბიბლიოთეკა

# „ვეფხვა.“

(ჩემ გოგონას).



იამ მზიას ვატარა ლეკვი აჩუქა.

— აი, მოუარე და სახელიც შენვე ამო-  
ურჩიეო.

მზიამ აათვალა იერ-ჩათვალა ლეკვი  
და სთქვა:

— „ვეფხვა“ იუოსო.

მართლაც ლეკვი ძლიერ ჭკავდა ვეფხვს: თეთრი  
და შავი სოლებით ჭქონდა აჭრელებული მთელი ტა-  
ნი.

— ზირი ძეგლს უგავს, დედა, აბა დაინახე! სთქვა  
მზიამ:

— არც გიგოიანთ მურას, არც ბებიდას ბოთ-  
ვერას არა აქვთ ასეთი ზირი: შესე, როგორ გამწვე-  
ტებული აქვს.

იმ დღიდან მზია მუყათათ უვლიდა „ვეფხვას“:  
ყოველ დღე სუუთა წებლს უდგამდა სუუთა ჯამით,  
რომელიც დედას გამოსთხოვა საკუთრივ „ვეფხვა“-  
სთვის.

ზურის ნამტვრევებს არ აკლებდა, ბევრჯერ თა-  
ვის წილი სორციც მიუცია,—მე აღარ მძიაო.

„ვეფხვა“ ლამაზი ძაღლი იზრდებოდა და ამას-  
თან მეტათ გონიერიც: მზიას და მის

4648

86867

ქართული  
ბიბლიოთეკა

საქართველო



შმას კარგა მანძილზედ სცნობდა. წამოხტებოდა, თუ იწვა, მისაბლერსებლათ გაემზადებოდა, დაჭრილ ეურებს, რაც შეეძლო, სცქვეოდა, მიასტებოდა მზიას, ხელებს ულიაკვიდა.

გვერდის კბილები ასლად ამოსდიოდა და ამისათვის ეველას, რასაც კი მოახერხებდა, ღრღნიდა. არ გადურჩა „ვეფხვას“ კბილებს არც მზიას ფეხსაცმელი, რომელიც მისმა დედამ ღამით აივანზე გამოდგა — მსახური გასწმენდსო.

ერთხელ მზიას კუკიც კი ჩაიგდო კბილებში და სულ ლუკმა-ლუკმით აქცია.

თუ აივნის მოაჯირზე გადაკიდებულ რასქეს ნახავდა, ჩამოათრევდა და კბილით დაჭკლევდა.

მზია ეველაფერს უთმენდა „ვეფხვა-ს“, საუვარელ კუკის გაფუჭებაც კი აზატია.

ორი თვის „ვეფხვა“ მოხდილ ბატკანის ტოლად განდა, როცა მოიუვანეს კი დიდ სათამაშო ბურთს უფრო წაგავდა: დამრგვალებული, რბილი.

ერთხელ სოფლიდან მზიას ბებიამ ამოვიდა, „ვეფხვა“ რო დაინახა, სთქვა:

— გამიცვალეთ ჭრელაში, თქვენ ქალაქ ადვილას რად გინდათ ქოფაკი ძაღლი; მე კი სოფელში გამომადგებაო.

მზია აიბრისა, მაგრამ არაფერი სთქვა. მზიას დედამ უარი ვერ მოახერხა, თუძცა რა ნება ჭკონდა მზიას საქონელი ვიუქებინა ვისმესთვის.

მეორე დღეს სოფლიდან საქრო ამოვიდა და ჭრელა ამოიუვანა...

ძხიად ტირილი დაიწყო:

— არ მინდა ჭრელო.

„სათრი სათახალაო“ — ნათქვამია, და ძხიას დედა-  
მაც ვეღარ გაუტყის სათრი და სჯაროს „ვეფხვკა“  
კატანა.

ძხია ტიროდა, ხელებს იმტვრევდა. ცრემლი მდუ-  
ღარე ნაკბათ ჩამოსდიოდა თვალთაგან. ვერაფრით  
ვერ დაამშვიდა ძხია დედამ.

ტირილით მოქანცულ ძხიას ადრე დაეძინა, ჩაიც  
კი არ დალია.

— ეს რა სინულებე მომივიდა — ამბობდა ძხიას  
დედა თავის კულში. — მაგრამ, იქნება გადაავიწედეს,  
ეს ღამე გაივლის და ძხიას დარდიც გაქარწველდებაო.  
ძხია კი მთელი ღამე შფოთავდა. სან და სან ძილში  
ამოიძახებდა სოლმე:

— არ მინდა... არ გავატან... ჩემია „ვეფხვკა“.

ძხიას დედან მთელი ღამე თვალი არ მოუსუ-  
ჭია.

— ეს ბავშვი დარღვე რო ავით გამიხდეს, რაღა  
შეშველებათ?

შემდეგ გადასწვიტა: სვალ დილაზე გავესაზნი  
მსახურს, და „ვეფხვკას“ ამოვაუვანებო. ეს რომ გა-  
დასწვიტა, ნუგეშიანათ ჩასთვლიდა.

გარიყრაყია. ძხიას დედან რაღაც მძაურობა ეს-  
მის აივანზე, თითქო ვიღაც დადისო. ფანჯარასაც  
ვიღაც აფსაჭუნებს... ძაღლმაც შეჭყეფა.

შეჭყეფს და შედგება, თითქო ჰასუსს ელისო. ჩა-



მოაუხაჭუნებს ფანჯარას და განკრძება... ისევე შევს-  
ეფუს.

— ეს ნამდვილი „ვეფხვას“, გააიფიქრა მზიას  
დედამ. საჩქაროზე წამოსტა, მივიდა ფანჯარასთან და  
დარბი გამოადლო.

უნდა გენახათ ვეფხვას სინარული: რა რიგ შე-  
ასტა ფანჯარას, კინალამ შეანგრია.

ამ სმაურობაზე მზიამაც გამოიღვიძა:

— დედა, არ მინდა, არავის მივცემ „ვეფხვას“.

— ვერც „ვეფხვას“ გაუძლია, შვილო, უშენოთ  
სთქვა დედამ და ფანჯარა გამოადლო.

ვეფხვამ თვალის დასამხამებაზე გადასტა ოთახში,  
მირბინა მზიას საწოლთან და წკბურტუნით და კუდის  
ქნევით მის ხელებს ლოკვა დაუწყო.

ნ. გ. აბოხაძე



...თქმულს მსწრეს თქლით აღსრულს და მსწრეს



# რასობა აქვს ვეშაპს ვიწრო ხასა.

(კიპლინგისა).



რთ ზღვაში, ჩემო ძვირფასო, სცხოვრობდა ვეშაპი. ის სწამდა და თევზებს: სწამდა ზღვის ვარსკვლავებს, ზღვის ქარიულახანასაც, სწამდა ეოველხანირ თევზს. შესვდებოდა თევზს, გააღებდა ხასას—ჭამ! და მშვიდობით.

დარჩა ზღვაში მარტო ერთი თევზი—სულ ზაწია თევზი. ის

ვეშაპის უურს უკან იმალებოდა, რომ ვეშაპს არ დაენახა. უცებ წამოიწია ვეშაპი და სთქვა „მე მშინა“.

მოსერხებულმა ზაწია თევზმა წვრილი ხმით უპასუხა:


— დიდებულო, ვეშაპო, კიკეპებია შენ როდისმე აღამიანი?

— არა, უპასუხა ვეშაპმა, განა როგორია?

ძალიან გემრიელია, უპასუხა ზაწია თევზმა, ოღონდ მეტათ მოუსვენარია.

— მე მომწონს მაგისტანები უპასუხა ვეშაპმა და ბოლოთი ზღვა ააღელვა.

— გასაძლოძათ ერთი გეყოფა, უთხრა ზაწიამ, შენ წინ წადი და შუა ზღვაში ტივსე ერთ მეზღვაურს დანახავ. მისი გემი დაღუპულა. ესლა ის ტივსე ზის,



ლურჯი ტილოს შარვალი აცვია, და ტუავის თასშით აქვს ის გადაჭიმული ბეჭებსედე, (თასმა არ დაგავიწუდეს) კიდევ დანაცა აქვს. უნდა გითხრა, რომ ის ძლიერ ჭკვიანი არსებია.

გასწია ვეძანმა. ძიაღწია ზღვის შუა გულამდე. სედავს ტივსე ზის მართლა მესღვაური. მას ლურჯი შარვლის, თასების და დანის მეტი არაფერი ჰქონდა, ჩაეშვა ფეხები წყალში და ათამაშებდა. მის დედას მიეცა ამისი ნება. აბა თვითონ როგორ იხამდა ამას—ის ხომ ჭკვიანი იყო. გააღო ვეძანმა ხასა, დააფხინა და გადაულაპა მესღვაურიც, ტივიც, რომელსედაც ის იჯდა, ლურჯი შარვალის, თასმაც (მართლაც არ დაივიწია თასები) დანაც. ჩამალა ვეკლა, როგორც კიდობანში—თავის თბილ, ბნელ კუჭში, ტუჩები გააწლანუნა, და სიაძოვნებისაგან სამჯერ გადატრიალდა.

როგორც კი ჩავიდა მესღვაური კუჭში, მაშინათვე ასტენა სმაურობა, ცეკვა, აქეთ ეცა, იქით ეცა, მორთო უვირილი, ბრახუნი, ისროდა წისლებს, წამ და უწუმ ჯდებოდა და დგებოდა, ისეთი აურა-საური გაჰქონდა, რომ ვეძანს გულმა რევა დაუწყო.

უთხრა ვეძანმა ჰაწია თეგხს:

— ეს კაცი ძალიან მოძრობს, სლოკინი ამიტენს. რა ვქნა?

— უბრძანე გამოვიდეს, მისცა ჰაწიამ რჩევა. ვეძანმაც ჩაიძახა თავის მუცელში: — გამოდი და ჭკვიანათ იუავი, თორემ სლოკინი მაწუხებს.

— კარგი, კარგი, არც ასე ძალე მოხდება, რასაც


მიბრძანებ, ასე ძალე ვერ ავასრულებ. ჯერ მიძიუგანე ჩემი ქვეუნი ნაპირზე, ჩემი ქვეუნი თეთრ მთებთან, და მაშინ ვნახოთ. და მორთო წინანდელზე უფრო მეტათ ცეკვა.

— ხვობს ძალე წაიყვანო, უთხრა ჰაწია თევზმა, სომ გითხარი, მეტი ჭკვიანია შეთქი.

გასწია ვეშაპმა. გაუდგა გზას. მიცურავდა სიჩქარით, თუძცა სლოკინი ძლიერ უძლიდა, დაინახა ბოლოს მეხლავურის ქვეუნი ნაპირები, შეცურდა ზღვის ურეში და ჩასძახა:

— მოვედი, უნდა ჩამოსვიდე ნაპირას.

გაიგო თუ არა ეს სიტყვები, მეხლავური ამოსტა ვეშაპის მუცლიდან.



მაგრამ სანამ ვეშაპი მოსცურავდა, მეხლავურმა, რომელიც ნამეტანი ჭკვიანი და მოხერხებული გა-  
მოდგა, აიღო ხელში თავისი დანა და ტივი წვრილ-  
წვრილ ჯოხებით დასჭრა, ამითი გააკეთა სძირი ცხრი-  
ლი და თასმებით შეჭკრა (ესლა სომ შედავთ, რა სა-




ჭირო იყო თასმების წადება) და საუყენა ეს ცხრილი ვეძახს სასაში. ეს ცხრილი იქ სამუდამოთ დარჩა. მესღვაური ისე გამოვიდა ნაპირზედ და გასწია თავის დედასთან, რომელიც ნებას აძლევდა წებლში ფეხების ჩაოფას. მან ძაღვ ცოლი შეერთო და ბედნიერათ ცხოვრობდა. მაგრამ ამ დღიდან, ვეძახს ეს ცხრილი, რომლის ჯერც ჩაულაპვა, ჯერც ამოგდება ჯერ მოახერხა, უძლიდა დიდი საგნების ულაპვას და შემლო მარტო ჰაწია თევზების გადაულაპვა. და აირატომ ვეძახები არ სჭამენ არც დიდ ადამიანებს, არც ჰატარა ბიჭებს, არც ნამცეცა გოგონებს. ის ჰაწია თევზი კი წავიდა და ჩაიძალა თბილ ზღვის სილაში. მას ეძინოდა ვეძახი არ განძირისხდესო.

მესღვაურმა დანა სასლში წაიღო. სახლი საკენ რომ მიეჩქარებოდა მას ისევ ის ლურჯი შა რვალი ეცვა, თასმები ვეძახს დარჩა — თასმებით ხომ ცხრილი იყო შეკრული.

გათავდა ჩემი ზღაპარი.

ალ. ფ - ი.





# გაზაფხული დაგვიდგა!



დადგა გაზაფხული! ვიმ რა მძევნივრომ  
 ბაა! რა დიდი და ლამაზია ჩვენი ქვეყანა.  
 მინდორ-ველები მოიფინა ათასფეროვან  
 ნი უვავილებით, მწვანე ბალახს ღაღანი  
 გააქვს, ჭრელი ლამაზი ჰეპელები თავს დასტრიალუ-  
 ბენ ამ ნოყიერ უვავილებს. ფრინველები თავიანთი  
 ჭიკჭიკით ატკობენ არე-მარეს. ათასნაირი დიდი და  
 პატარა ცხოველებით

მოფენილია ტუე-ველი.  
 ჩხარი მოჩუხჩუხე მდი-  
 ნარეები სავსეა ლამა-  
 ზი თევზებით. კამკამა  
 სღვებში მოჩანს ლურ-  
 ჯი ცა.

რა კარგი რამ არის  
 გაზაფხული! ფაფუკი  
 ლამაზი თოვლი გად-  
 ნა, გაზაფხულის მხით  
 გამთბარი დედა-მიწა  
 მწვანე ქორუბა ბალა-  
 ხით მოიფინა. ხეებს





კვირტები დაჭებრიათ და საცაა ფოთლებათ ცაღიძლუ-  
ბიან. ტეეში მცხოვრებლებმა კვლავ გამოიღვიძეს.  
შორეულ ქვეყნიებიდან ჩიტები მოფრინდენ და თა-  
ვიანთი ჟივილ-სივილით ტეე აახმაურეს: ზოგი წი-  
ნანდელ ბუდეს აკოწიწებს, ზოგი ახალს აშენებს,  
ტეის მცხოვრებლებიც ეელამდინ საქმეში არიან, აღარ  
ემინიანთ სიცვიისა და გასაფხულის დადგომით გა-  
ხარებულნი ფაცი-ფუცში არიან.

აი მთის ძირას ბუნაგიდან დათვი გამოძვრა,  
დადის ტეეში, დამლაგუნობს, სად ბალახს წაწიწკნის,  
სად ხეებს ფოთლებს ააცლის.

შამთარში დათვი ძალიან გამხდარა, დამძეულა და  
გაბრახებული აქეთ-იქით გაიბღვირება.

დედა დათვსაც იამება გასაფხულის დადგომა.  
ბუნაგიდან თავისი ბელებით გამოდის და მხეხე  
თბება.



აქა-იქ ხეების ტოტებზე უდარდელად დასტიან



გაბუებული კუდებით ევითელი ციუკები. მათ ჭკუანს  
 არავენ დაუწუნებს: სასამთროთ იმდენი კაკალი და  
 კინკრიჭოები შეუნახათ, რომ ზაფხულამდისაც გაჭვეუ-  
 ბათ.

ხედავთ, ხეებთა შორის ეომრალ ქურქს. ეს ჩვენი  
 ნაცნობი ძელია კუდა—გძელია არის. ქურდულათ მი-  
 ეწარება, უთვალთვალებს ტუის ქათამს, უნდა ისარ-  
 გებლოს მისი გაუფრთხილებლობით—მივარდეს,  
 კლანჭებში ჩაიგდოს და გემრიელათ გადაულაპოს.  
 ძელია არც კურდღელს დაიწუნებს, არც ზღარბს,  
 ისიც იცის, როგორ გამაყოფინოს თავი ზღარბს,  
 როდესაც ის შეკუმძულია და თავის ეკლებით ინხვლი-  
 ტება: მოჭევება და იმდენს აგორებს იმას, სანამ წულა-  
 ში არ ჩააგორებს, ზღარბი, როგორც კი იგრძნობს  
 წულს, მაშინვე გაიძლება და ძელისადაც სომ ეს უნ-  
 და, მივარდება და გასწიწნის. ძელიამ ისიც იცის,  
 რომ თავს მოიკვდანურებს, სადმე მიწაზე გაიმოტე-  
 ბა და ასე დიდხანს წევს გაუნძრევლათ. ფრინველები  
 ჯერ არ ევარებიან, ეშინიანთ, მერე თან და თან  
 უახლოვდებიან, მკვდარი ჭკონიანთ და თავისუფლათ  
 გარძემო სტუნვას მოჭევებიან. ძელიასაც ეს უნდა.  
 როგორც კი სულელი ჩიტუნიები ძელიას ჰირთან  
 მიუახლოვდებიან—ის უცბათ წამოვარდება და ერთ-  
 ორ ჩიტს ჰირში იგდებს.

როდესაც ჩიტებზე ვერ გაიძარჯვებს—თევზებს  
 მიადგება. მივა რომელიმე მდინარესთან, თავის გა-  
 ბუებულ კუდს ჩაჭობს წულში და მოთმინებით ელის,  
 წვრილი თევზები როდის გაებებიან მის რბილ ბუ-



წუში. იდროვებს თუ არა — წელიდან ამოიღებს კულს  
თევსებიანათ და გემრიელათ შესჭამს. მის გაიძვერობის  
ჩამოთვლა ძნელია, ის ემბაკია, ვველას ატუეებს,  
სოლო ადამიანს ვერ აჯობებს, მას ძალიან ეძინან  
ადამიანის თოფისა, საფანგისა და მამებარი ძაღლუ-  
ბისა.

მგელს არა აქვს სრულებით ემბაკობა: ის ძალით,  
ბასრი კბილებით და ძძლავრი ტოტებით გაიმარჯვებს  
სოლმე. მგელი კურდღელს რომ დაინახავს — გამოე-  
კიდება. საწვალე კურდღელი მოჰკურცხლავს და თუ  
მგელი ვერ დაეწია — გულის ხეთქებით შეძვრება თავის  
სოროში. მგელი ცოტა ხანს კიდევ გაჩერდება და ისევ  
თავის ბუნავში დაბრუნდება.




საწვალე კურდღელი სულ კულ-გასეთქილია!



ეველა აძახე ნადირობს: მელიაც, მკელიც, აღამის-  
ნიც — არავინ ასვენებს.

განსაფხულის ღამეც სიცოცხლით სავსეა. რო-  
გორც კი დაბნელდება — ეველა, ვინც დღე მისვლა-მო-  
სვლაში იყო, ფათურში — ისვენებს. სამაგიეროთ ახლა  
იღვიძებენ და გამოდიან სანადიროთ ღამის ცხოვე-  
ლები: ღამურები, ჭოტები, ზარნაშოები... ბნელა-  
ში ვიღაცის თვალები ანათებენ, ცხოველი დიდ კატას  
ძიებენ, მხოლოდ ურები გრძელი აქვს. — ეს გა-  
რეული ტყის კატაა, ვეფხს წაგავს, აი, ფრინველი  
ჩაუგდია და გაწიწენას უზირებს, ეს ღამის ცხოველი  
ჩუმად, კატუნისავეთ დაძვრება და ვაი იმ კურდღელს,  
ან ფრინველს, რომელსაც ის თავის კლანჭებში ჩა-  
იგდებს.

ამოვიდა მთვარე და თავისი სსივებით განანათა  
ტყე და ველი. ვიმ რა მშვენიერია ეს განსაფხული!  
კულრაჭა.





# ცელქი გოგლა.



ელქი რაბე გამოვიდა,  
ჩვენებიანთ ჰაწა გოგლს,  
სინცით და ავსულობით  
ათექმის უველა გაოგნა.

ერთხელ კლდეზე გადაჩეხა,  
მესობლიანთ სახედარი  
და რომ ვერაჟინ გაუგო,  
წათამამდა უშეცარი.

ერთხელ ბაღში შეიპარა  
და წააწედა მწოლარ ძაღლსა,  
კანჭში ეცა და შაღვარი  
დაახნა ცელქსა ბაღლსა.

შინისაკენ გაეშურა,  
გოგლს შაღვარ გაგლეჯილი,  
„ვაი-დედას“ იძახოდა,  
ცრემლიანი, დაღრეჯილი.

— „აბა, შეილო, დეღამ უთხრა,—  
რომ ვერაფრით დაგაწენარე,  
შენის მოუსვენრობითა  
დამაღონე, გამამწარე!“

გოგლას ფესი დაუსივდა,  
სამი დღე ვერ დადიოდა,  
როცა წამლს დაადებდენ:  
„ვაი-მეო!“ გაჭკიოდა!

გაიარა ცოტა ხანმა,  
ტკივილები სულ მოურჩა...  
და სამაგელს, უწეინარი  
აღრავინ გადაურჩა.

დაინახა მინდორზედა,  
ცხენი სმოვდა ბედაური,  
სეა შეჯდომა მოინდომა,  
კუდში წასწვდა უბედური!

ცხენი შეფრთსა, შეფუნდრუკდა,  
თოსარივით გაგოკმანდა,  
გოგლას კი ძირს გათხოხობილი  
ბაღასებში აღარ ჩანდა!

ცხენის ტორი მოხვედროდა,  
გოგლას ცხვირი ჩაეჭულიტა,  
და გონება წართმეულსა  
თვალები-ღა დაეჭვიტა!

და როდესაც შინ მივიდა  
დედან ელდა ეცა კულში:  
— „აბა, შვილო, ეგ იპოვე,  
უსეირო სიარულში!?“

1988  
66862



# გასაოცარი მამაცობა



რთი ჰატარა წრეწუნა  
ნი შივარდა თავის დედას  
და საიდუმლოებით  
წაუჩურჩულა:

— დედა! იცი,  
რომ მე ეს არი ახლა  
კატა შევჭამე!..

დედა-თავი საშინლათ შეკრთა, თვალებში შესედა  
და შვილს და უთხრა:

— ხომ არ გაგიყებულხარ? რას ლაპარაკობ?..

წრეწუნა წელში გაიძარტა, კუდი თათებსე გადიგლო  
და გაიძეორა:

— მე კატა შევჭამე!..



ამ დროს დიდი ხმაურობით ზემო ოთახიდან  
ჩამოცვივდენ ორი თავუნია.

— რა საოცარი ამბავია!.. დაუჯერებელი საქმეა!..  
ძორთვის მათ უვირილი—უური დაგვიგდეს! მოგვის  
მინეთ!..

უველბ კუნჭულებიდან თავებმა თავი მოიყარეს.

— რა ამბავია? რა მოხდა?..

თავუნიები ერთი მეორეს არ აცლიდენ და აღშოთებით ამბობდენ:

— ჩვენ ეს არი ახლა ვისხედით იქ ზემო ოთახ-

ქართული  
ბიბლიოთეკა



ში, ტახტის ქვეშ, კუნჭულში. უცბათ მოგვესმა ვიღაც  
უმსწვილის ტირილის ხმა:

„დედილო! ჩემი კატა დაშეკარვა!—ამასე მეო  
რემ უპასუხა: „უთუოთ თაგვი შესწამდა, მე შესმოდა,  
როგორ თაგვი რაღაცას ასრამუნებდაო!

აი ზემოთ რას ლაპარაკობდენ.  
ამ დროს ჩვენი წრუწუნა თამამად წინ წადვა და  
თქვა:

— ეგ მე ვიყავი!.. მე შევჭამე კატა!  
ეველამ მოკრძალებით და ზატვივისცემით უკან  
დაიწიეს, თან ცნობის მოუვარეობით ის თავით-კუდამ-  
დის სათვალ-ჩაათვალიერეს.

— ძერე არ გეძინოდა, რომ სწამდი? ჭკითსა  
კანკალთ ერთმა.

წრუწუნამ მედიდურათ მსრები შეინძრია.  
— სულაც არა!..რისი უნდა შემშინებოდა?  
ამ დროს ვიღამაც შორიდან დაიკვირა:

— ძამიებო! მოდიოთ ერთი რა განახლოთ...

შესავალში ვიპოვე „პრიანიკის“\*) ნაჭერი.  
— ეგ ჩემია! დაიკვირა წრუწუნამ—არ ასლოთ  
ხელი, ეგ კატის ფეხია!..

ეველას სიცილო აუტყდათ, ხმაურობით წრუწუნა  
გამოაურეს:

— ხა, ხა, ხა! რა მამაცი ეოფილხარ!.. მამ შენ  
„პრიანიკის“ კატა შეგეჭამია?

წრუწუნამ წვენიტ შესედა მოხარხარე თაგუნიებს  
და წამოიძახა:

\*) პრიანიკი—თაფლის პური.




— თქვენ გგონიათ, რომ აზაფერნი საშიში არ იყო? ეგ სომ ძალიანა გვანდა კატას, თვალებიც ქიშკიშისა ჰქონდა. ბევრნი თქვენგანი ძაგ კატას მიკარებოდა ვერ მიეკარებოდა ახლოს.

ამასე ვეკლამ უფრო მეტად კიყინა დასცა:

— უოხად, უოხად, ჩვენი წრუწუნავ! ძანთლა, რომ საოცარი ძამაცი უოფილხარ. შენისთანები ბევრნი არ მოგვეპოებინ. ძაგრამ ეს კატის ფეხი კი ჩვენი წილი უნდა იეოს, მისი ჭამა ჩვენისთანა ძხდალებისათვის საშიში არ იქნება.

(თარგმანი)

ტასო.





# ძლასე წყალში რათ არის უფრო ადვილი ცურვა



ცურვის დროს ორი რამ უნდა მივიღოთ მხედველობაში: ერთი რომ წყალზე გაჩერება შეიძლოს კაცმა, მეორე — წყალში მოძრაობა. ძლასე წყალში უფრო ადვილია გაჩერება, ვიდრე მდინარის წყალში, ამის მიზეზი სულ უბრალოა. ჩვენი სსეულის სამი მეოთხედი წელიწადს სხვადასხვა მისი ერთი მეოთხედი კი წყალზე მძიმეა, თუძვა ჩვენი სსეულის ქონი წყალზე სუბუქია და კვშეულის წყალზე გაჩერებას.


მდინარის უბრალო წყალი სუბუქია ძლასე ზღვის წყალზე და ამიტომ ჩვენი სსეული, თუძვა ცოტათია იმასე მძიმე, მანც სძირავს. ჩვეულებრივი ზღვის წყალი უფრო მძიმეა უბრალო მდინარის წყალზე იმიტომ, რომ შიგ ბევრი მარილია. ეს არი მიზეზი, რომ ზღვის წყალში ადვილათ ვჩერდებით და ადვილათვე ვცურავთ. დედა-მიწასე არის კიდევ ისეთი



ზღვები, სადაც წყალი უფრო მეტი ძლახეა, მკვდარი ზღვა“ (Мертвое море) ან ჩრდილოეთ-ამერიკაში „ძლიძე ტბა“ (Соляное озеро).

ამ ზღვაში იმდენი მარილია, რომ ადამიანის სხეულზე მძიმეა სოლმე, ამიტომ შიგ ადამიანის დას-რჩობა შეუძლებელია.

მაგრამ არის ისეთი სითხეები, რომ წყალზე უფრო სუბუქია და თუ კაცი ჩავარდება ამისთანა სითხეებით სავსე ტბაში, რაც უნდა მარჯვე მცურავი იყოს, ვერ შესძლებს ცურვობას, მისი სხეული მძიმე ქვასავით დაიძირება. ასეა, რომ რაც უნდა ჰატარა აუზი იყოს ნავთით სავსე — ვერავინ ვერ დააღწევს თავს — დაიღ რჩება შიგ.






# „ჯღანუას“ თავგადასავალი.

(ზღაპარი)

(შეშვები)



არა, ბევრი იარა, დაი-  
ქანცა, ჰურიც მოძივდა  
და საგონებელში ჩა-  
ვარდა. ბოლოს ერთს  
სასახლესთან შეჩერდა  
და კედელთან აიტუხა.

— აბა აქ მანცა ვცდი ჩემს ბედსა, — იფიქრა ჯღან-  
უამ და იქიდან პირდაპირ ჯარისკაცებთან მივიდა  
და უთხრა: — აქ, როგორც ვხედავ, ძეფე უნდა ცნოვ-  
რობდეს და აბა მოახსენეთ, რომ მე მასთან მიკრი-  
კათ მინდა გავმწესდეო. ჯარისკაცებმა აათვალა ჩა-  
ათვალა იერეს ეს ბაჯა ჯღანა კაცი, გულიანათ ვადი-  
ხარხარეს და უპასუხეს: „წადი აქედან, დაიკარგე, თო-  
რემ ამ წუთში მაგ ბოხვერა თავს ტანს მოვაპორობ-  
თო. აბა წვივებხედ დაიხედე და მაშინ მაგისტანები  
ილაპარაკეო“.

„თქვენ ნუ მიცქერით ასეო,  
გამოიყვანეთ ვინც ვინდათ,  
ერთი გამოვალ ასხეო!“.. უპასუხა ჯღანუამ.  
გაკვირდნენ კარისკაცნი ამ სიტყვებზე და გადა-



ქართული  
ენის ინსტიტუტი

წვეოტეს ეს უცნაური კაცი წარუდგინონ მეფეს. მეფეც ძალე გამობრძანდა. ამანაც აათვალი-ნათვალიერა ჯღანუა და გამობრუნდა:—კარგი, სვალ დილაზე მოადი და გამოგცდიო.

მეორე დღეს ადრინათ ამოაჩნია თავის ამალიდან ერთი მსწრაფლ-მოსიარულე კაცი. თვითონ თავის ამალითა და ცოლ-შვილით ფანჯარაში დაბრძანდა და ნიშანი მისცა გაქცევისა. ჯღანუამ იმ წამსვე ქოშები ჩაიკვია, ერთს ფეხსედ შემოტრიალდა და თვალის დასამხამებაში გაქრა: ზევით ღრუბლებში მიიმალა. მოედანზედ ტაძის კვრა და ვაძას ძახილი გაისმა. ვინემ მეორე შიკრიკი მივიდოდა დანიშნულ ადგილაშდის, ჯღანუამ უკვე საქმე გააკეთა და უკანვე დაბრუნდა სასახლეში. ამ კარემოებამ გააოცა და განაკვირვა ვეელა იქ მეოფი.

ჯღანუა სასახლეში მიიღეს. რაც კი რამ საჩქარო და საჭირო საქმე ჰქონდა მეფეს, ვეელაფერს ჯღანუას ანდობდა. ჯღანუა მეტის მეტათ კარგათა გრძნობდა თავს: კარგათ აჭმევდენ, კარგათ ასმევდენ, კარგათ აცმევდენ, მეფესაც ძალიან შეუუვარდა იგი და ჯღანუაც თავს ევლებოდა მას. შემუდრათ მისი ასეთი უოფა კარის კაცებს და მოინდომეს როგორმე მისი გამეყება. მეფეს ამბავს უზიდავდენ, ღალატსა სწამებდენ და მედამ ჟამს ამულებდენ მას. შემინებული ჯღანუა სულ იმის ცდაში იყო, როგორმე ამ ხალხის გული მოეგო, მაგრამ უფულოთ რას გააწეობდა. დღე და ღამ სულ იმის ნატვრაში იყო, რომ როგორმე ხაზინა იპოვნოს. იგი დიდს იმედს ამეა-



რებდა თავის ჯოხსე და სადღეც კი წაზიდოდა, მუდამ  
თან ატარებდა: იქნებ ბედმა გაძლიძოს და სასახ-  
ლის არემაჩემი ბედნიერება მახოვინოსო. შემთხვე-  
ვაც კარგი მიეცა. სასახლეში აქალია ეური მოჭკრა,  
რომ მეფის მამამ, როდესაც მეხოხელ მეფესთან  
ომობდა, დიდი განძი ჩაფლა მიწაში და აქამდის ვე-  
რავინ მიაგნო ის ბედნიერი ადგილი. ამისთვისაც  
იყო, რომ ჯღანუას სულ მუდამ ჯოხი დაჭკონდა  
თან და გულის ფანჯრულით ელოდა ბედნიერ წუთებს.

ერთ მძვენიერ საღამოს ჯღანუა შინიდან გარეთ  
გამოვიდა და კარგ მანძილზედ დამორდა სასახლეს.  
კიდევ ბევრი იარა და როცა, დაიღალა დასასვენებ-  
ლათ ერთს ხის ძირში მივიდა. ის იყო, როგორც  
უნდა წამოწოლილიყო, ჯოხის რაკუნი მოესმა. ჯღა-  
ნუას იმედი მიეცა. მივიდა იმ ალაგას და ნიშანი  
დაადო: რომ ღამე მოსულიყო და ამოეთხარა მიწა.

დაბრუნდა შინ და მოუთმენლათ ელოდა დაღამებას.  
მის გულს რაკარუკი გაჭკონდა. განკებ ჩაწვა კი-  
დეც დასაძინებლათ, მაგრამ რა დააძინებდა ბედნი-  
ერების ძალოდინში. სასახლეში ეველაფერი რომ მი-  
წენარდა, ჯღანუა წამოდგა, ჩაიცო ქოშები, ერთს  
ფესე შემოტრიალდა და სანატრელ ადგილას დაიბადა.  
წერაქვიც თანა ჭკონდა და დაიწყო მიწის თხრა.  
ბევრი თხარა, ბევრი ეწვალა და რის ვაივაგლახით  
ამოყარა მიწა. ორმოში ჩავიდა და კუნჭულში შენიშ-  
ნა ერთი უშველებელი სკივრი; აჭხადა და ნახა,  
რომ სკივრი ბაჯაღლო ოქროებით არის სავსე. ჯი-  
ბეები გაიტყნა, ჩოხის კალოები აივსო და ორმოს



გაბრიელის  
დაწერილია

ისევე ნიშანი დაადო. ქოშების შემწეობით თვალსადასწრით  
სამსახურებში სასახლეში დაბრუნდა, მიწვა დასაძინებლათ  
და ოქროები ლეიბის ქვეშ დამალა.

მეორე დღეს რომ ადგა და გავიდა გარეთ, მის  
სახეს ნათელი მოჭყენოდა... ეველას შეჭხაროდა, ევე-  
ლას უბლერსებდა, მარჯვნივ და მარცხნივ ოქროს  
არიგებდა, აკებ გული მოვიგო და აღარავინ დამა-  
ბეხლოსო, მაგრამ ბოროტი კაცის გულს რითი მოი-  
ნადირებ: შურმა და მტრობამ უფრო ძლიერათ გაძო-  
ეო ფეხები: მეფის მხარეული ლაპარაკობდა ეველას-  
თან, რომ ჯღანუა ეალბ ფულებს აკეთებდაო; დედო-  
ფლის შესაიდრულე მოსამსახურე ბიჭი ავრცელებდა  
საღვთა: ჩემი თვალითა ვნახე, რომ ჯღანუა დედო-  
ფალსა და მეფის წულებს ჯიბეებს უჩხრეკავდა და  
ოქროებს აცლიდაო. მოლარე, ეს უმთავრესი მტერი  
ჯღანუასი, ამტკიცებდა, რომ იგი საღვთოდან იპა-  
რავს ოქროებსაო. ამას უნდოდა თავისი ცოდო ამის-  
თვის მოეხვია. ერთი სიტუვით ეველას უნდოდა გაე-  
გო, თუ ამოდენა სიმდიდრე საიდან შეიძინა ჯღა-  
ნუამ. ამ ამბავმა ვეზირის ურამდინსაც მიადწია და  
დიდათ ადელევებული და გაბოროტებული წარსდგა  
მეფის წინაშე. მეფემ შენიძნა მისი ადელევება და  
ჭკითსა: — ეგრე რამ გაგაბოროტაო? ვეზირმა მოას-  
სენა:

— მამ რა ვქნა, დიდებულო მეფეე, რომ არ  
გაგაბოროტდე: რაც ეს თითი-მტკაველა მაიმუნი სა-  
სახლეში შემოვიდა, შენი მოწვალე თვალი ჩემთვის  
დაიხურა — მოწვალეებით ავსებ ორგულს და შენთვის

თავდადებულ ემათ კი აღარაფერ უზრუნველბას  
აქცევ...

— მითხარით სწორეთ, რაშია საქმე? რა მოწუა-  
ლებასედა ლანარაკობ, განრისხებით უთხრა მეფემ.

— მაშ ვინ აძლევს ჯღანუას აძღენ ოქროს, რომ  
იგი მარჯვნივ და მარცხნივ ურბებს და შენსედ  
გულს აცრუებინებს? ან შენი მოწუალებით უნდა მო-  
ქმედობდეს, ან არა და შენს სასახლეში არაჩვეულებ-  
რივი ამბები უნდა ხდებოდეს, რომლის შესახებაც  
ფიქრია საჭირო...

მეფემ უბრძანა—უდარაჯეთ ჯღანუას და ეველა-  
ფერი მოძახსენეთო. ღამემ მოაღწია. ვარსკვლავებით  
გაიჭედა ცა. მთვარის შუქსედ ჯღანუამ დათვალა თა-  
ვისი ოქროები და შენიშნა, რომ ძალიან ცოტა ღა-  
იყო. მაშინათვე წამოხტა, ჩაიცო ქოშები, ცალფეს-  
სედ შემოტრიალდა და თვალის დახამსამებაში გაჩნ-  
და ორმოსთან. როგორც კი ერთი ორი ნიჩაბი ამო-  
უგდო, მაშინათვე გამოუსტენ ტეეში მიძალული და-  
რაჯები, შეკრეს, შებოჭეს ჯღანუა და წარუდგინეს  
მეფეს. ოქროებიც უჩვენეს და მოახსენეს, რომ ჩვენ  
ეს მაშინ დავიჭირეთ, როდესაც იგი ამ ოქროებს  
მიწაში ფლავდაო.

— აბა ბრძანე— ეველა ეს მართალია, თუ არა?  
ვინ მოგცა ეს ოქროები? ორმოში რათა ჰქრიდი ამ  
ოქროებს? განრისხებულმა მეფემ შეტევით უთხრა  
ჯღანუას.

— ეველაფერი ტუილია, მეფევ! მე ის ოქრო-  
არ მოძინარავს, უთხრა ჯღანუამ. მე ვინაოვნე ძვე-



ლათმეველი ორძო და ეს ოქროები ნიქიდან ამოიღოთ და  
ქონდა:

ამ სიტყვებსზედ უველას გაეცინა.

— მატუეებ კიდევ, ავახაკო!... სახინადარო! მით-  
ხარი სწორეთ ეს ის ოქროა, თუ არა, რომლებიც  
სახინიდან არის წაღებულიო.

— დიას, ეს ის ოქრო გასლავთ... ამის გარდა  
ბევრია კიდევ წაღებული, უპასუსა მეფის სახინის  
გამკემ.

— შეეკარით ამ ძაღლს ხელ-ფეხი და ჩააგდეთ  
ციხეში.

სახინადარმა უველაფერი სისრულეში მოიყვანა:  
ოქროები სახინაში შეინახა, ჯღანუა ციხეში ჩასვა  
და ორძოდან ამოყოლილი ერთი ქაღალდი მიძალა,  
არავის არ აჩვენა. ამ ქაღალდზედ ეს ეწერა:

„მტერი მომიასლოვდა... არ ვიცი რა შედეგი  
ქნება ამ ომს. მაინცა და მაინც ჩემს ოქრო-ვერცხლს  
ამ ორძოში ვტოვებ. თუ იპოვნოს ვინმემ ჩემი სი-  
კვდილის შემდეგ და არ მისცეს ჩემს შვილს—ჩემი  
წვევლა-კრულვა იმასაო“. მეფე ჯიძმერ.

ჯღანუა ჩასვეს ციხეში, კარები ძაგრა ჩაუკეტეს  
და მრავალთა-მრავალი დარაჯი მოუყენეს, არსად  
გაგუებაროსო. ჯღანუა დადონდა, დამძარდა, თვალში  
ცრემლი მოერია: იცოდა, რომ ამ ამბის გამო, სი-  
კვდილით დასჯას გადაუწვევებდნენ. ერთად-ერთი ღა-  
დარჩენოდა საცოდავს ჯღანუას: უველაფერი სიძარ-  
თლე ეამბნა მეფისთვის. სწორეთ ასეც მოიქცა. რო-  
დესაც მსახურები შევიდნენ სატუსალოში და სიკვდი-  
ლით დასჯა გამოუცხადეს ჯღანუას, მან გულ-დაძ-  
მვიდებით უთხრა მსაჯულებს:—მოახსენეთ მეფეს,

რომ მობრძანდეს და მნახოს, უკანასკნელათ ერთი დიდი საიდუმლო უნდა გამოუმქდავრო!“

გაკვირვებული მეფე წავიდა ცისემი და ინახულა ჯღანუა.

— დიდებულო, მეფე! მე სომ სიკვდილი მომელის და არ მინდა ისე მოგკვდე, რომ ვეღლაფერი არ გაგიზიარო უკანასკნელათაო. გეფიცები ჩემი დედ-მამის საფლავს, გეფიცები რაც რამ ძვირფასია ქვეყნასკად აღაძიანისათვის, ვუფიცავ შენს თავსაც, რომ მე ის ოქროები არ მომიპარავს! ტყუილათ მსჯით—ეს ოქროები ამ ჰაჯარა ჯოსმა ძაპოვნინაო. თუ ჩემი სიტყვა არა გჯერათ — სადაც გინდოდეთ იქ ჩაფალით თქვენი საკუთარი ოქრო და ნახავთ ჩემი ჯოსი როგორ იპოვნის ამ განძსაო.

მეფე აგრეც მოიქცა: ჩაფლა სადღაც მიუღუებულ ალაგას ოქრო-ვერცხლი, ჯღანუა მიტრიალდა-მოტრიალდა და რამდენიმე წუთში იპოვნა განძი თავისი ჯოსის შემწეობით. გააკვირა მეფე ამ სასწაულმა... დარწმუნდა იმაშიაც, რომ სასახლის კაცებმა მოატყუეს იგი... მოისმო ვეღლა და სათითაოთ გაღანძლა, გაათრია, მეტადრე საზინადარი; ამ უკანასკნელს ჯიბიდან ის ქაღალდიც ამოაცალეს, რომელზედაც მეფის მამის ანდერძი იყო დაწერილი. ესლბ სავსებით ვეღლაფერი გამოირკვა. საზინადარი ცისემი ჩასვეს და უღანაძულო ჯღანუა კი განთავისუფლეს.

აღექსანლრე ნათაძე.

(დასასრული იქნება).



## გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.

წკაპი წკუპი წკაპარასა,  
ნადირობს და ჭამს არასა.

თავსა ზის, თავსა კისკისობს  
თავს ხურავს წითელი ქუდი,  
ხმელსა სცენს, რბილი გამოაქვს—  
ის არის მისი სადილი.

კუდი ხისა, მუცელი თმისა,  
ზამთარ-ზაფხულს სულ თოვს.

ძირი მიწას, შუა ბაგას,  
თავი ჩვენ მკვდარსა და ცოცხალს.

იანური, ჭიანური, კისერ კაკა იანური,  
მოიღლება, მოიწყობა, არ სწყინდება სიარული.

## სხვა და სხვა ამბები.


**მოხელე კატები:** ამერიკის ქალაქების ფოშტებში სხვა მოხელეებთა შორის ათასამდე კატებს ამუშავებენ. ისინი დეპეშებით სავსე ტომარებს უდარაჯებენ, რომ თავებმა არ დასჭრან. ჯამაგირების მაგივრათ ამ კატებს კარგა აქმევენ და ასმევენ. კატები, როდესაც კნუტებს დაჰყრიან, მაშინვე ფოშტის უფროსს შეატყობინებენ ხოლმე, ისიც ახალი მოხელე კატების შესანახ ფულს ხაზინას გამოსთხოვს.

**ხის სიმაღლის გაზომა.** ყოველ ყმაწვილს, რომელმაც კოტაოდენი ანგარიში მაინც იცის, ძალიან აღვილათ შეუძლია ხეს, ან კედლის, ან სამრეკლოს სიმაღლის გაზომა ზედ შეუსვლელათ. მაგალითათ, თქვენ მოინდომეთ ხის სიმაღლის





საქართველოს  
წიგნიერების  
კავშირები



# პატარამ!



ეტავი შენ, პატარავ,  
გალაღებულო, ყრმავ,  
და ნეტავი იმასაც,  
ვის გულიც ააყვავ.

დილასავით წმინდა ხარ  
და აღსავსე სიციცხლით,  
შენი ერთ ბაასობს  
ცა უკვდავის სამოთხით...

ყრმავ, მე განვლე შენი ღრო,  
აღერსიანი სითბო,  
უნდა ჩამოგეცალო  
და ადგილი დაგიმხო.

იცინე და იხარე,  
ფართოთ გაშალე ფრთები,  
ვიდრე ჩემებრ მოწყენით  
ყრმობიდან გადასდგები.

ი. მჭედლიშვილი.







და ხასხასა მწვანე ფოთლებს. ვერცხლის ფერ წყაროს ცვარ-  
თა ბნევა მოლხენით ბანდა პირს ნაპირებზედ ჩამწკრივებულს  
ფერად ყვავილებს. ფრინველების ურიაშული ათასნაირ ჰანგე-  
ბათ ინასკვებოდა ცის სივრცეში. უღრანი ტყე ყოველსავე  
ხმას გულს იწონებდა და სამარის ხმათ ღუპავდა თავისავე  
მუდმივ შავ ღუმელოში. მენახირე ისევ თავის ადგილას იყო  
წამოგორებული. მის დიდ შავ ივალეებში სევდის სხივები უე-  
ლავდენ, გეგონებოდათ ცრემლის ზღვა აქვს შიგ ჩაყინულია;  
სახეზედ კი შვების ღიმი დასთამაშებდა.

## II

• ამ ბიჭუნას სოფელ პანტიანის მეძროხეები ობოლას ეძა-  
ხდენ. ობოლა—ობოლი იყო. მას ქვეყანაზედ არავინ არ გა-  
აჩნდა. პანტიანში შორეულ დედის ძმასთან მენახირეთ იყო და  
ასე იზრდებოდა—ექვსი წლის განმავლობაში. ობოლა ფხი-  
ზელი, მარდი, შრომის მოყვარე და კარგი გულის ბავშვი  
იყო. ამასთანავე ერთათ დიდი მოყვარული იყო ტყე-მანდ-  
რისა და ძროხებისა. სიბრალული და ძროხების სიყვარული  
იყო მიზეზი, რომ დილას სოფლის ბოლოდან მოსული თინა,  
წელში მოხრილი, კალთაში საგძალ გამოხვეული—ძროხების  
უკან ჯოხის ბჯენით მოჩანჩაღე ქვრივ-ოხერი, სახლში გააბ-  
რუნა—და თავათ იმის საქონელი გამოიყოლა. აკი ისე გუ-  
ლით თანამაც იმიტომ დალოცა: „შენამც თავს შემოაგველე-  
ბი, და შენი მშობელიმც განათლდება, როგორც მე დღეს  
დავისვენებო. არა გიშავს-რა, შვილო, გაიზრდები კარგი ბალ-  
ლი ხარ, ღმერთი ყველგან გიშველისო.

ობოლას თინას დალოცვა ძალიან უყვარს. რა ჰქნას:  
დედა არა ჰყავს, ვინ მოუთაღერსებს?! სხვისი შვილობაში,  
სიმწარეში—მყოფს ალერსი ყოველთვის სჭირია. მართალია  
თავისი თვალშავა მოზვერი, მამასახლისმა რომ ორი წლის ჯა-  
მაგირში მისცა, კარგს მეგობრობას უწევს, სულ ერთავათ ხე-  
ლებს ულოკავს და ეჭიდავება, მაგრამ განა ეს დედის ალერსს  
აუნაზღაურებს?!

ობოლა მაინც თავს ბედნიერთათა სოფლის. მან დაიხსო-  
მა ბებერ-თინას მიერ მრავალჯერ ნათქვამი სიტყვები: „გაი-  
ზრდები, ღმერთი გიშველისო“ და ღვთისგან ელის შველას



ისიც. იმიტომაა, დღით, საუზმის წინ — პირის დაბანის შემდეგ, პირჯვარს რომ იწერს ხოლმე: ის დედის ცხონებას და თავის შევლას ევედრება ხოლმე ყოველთვის ღმერთსა.

ამ დღითაც აკი ასე მოიქცა; ნაკადულზე პირი შეიბანა, ახალუხის კალთით შეიხოცა, პირჯვარი გამოისახა, ღმერთი ახსენა და შემდეგ გამხმარ პურს ცივ წყალში სველება დაუწყო შესაქმელათ! ჩვეულებრივით თვალშავამ მეგობარი რომ საუზმეზე დაინახა, ბალახს თავი მიანება და იმისკენ წავიდა თავის წილი პურის შესაქმელათ.

### III

ობოლას საზოგადოთ ადრე გამოუდის ძროხა საძოვარზე: საწყემსო უყვარს და იმიტომ დღესაც ჩვეულებრივით ადრე გამოირეკა. ცოტა ხნის შემდეგ მას გამოჰყვა იმავე გზით სამი სხვა მენახირე: შაქრო, გიგა და ვანო. ყველამ ობოლას ნახირს შეურია თავისი საწყემსო და თვითონ კი საუზმისათვის ჩამოსხდნენ ნაკადულის პირას. საუზმის შემდეგ ბავშვებმა მალე დაიწყეს ლაზღანდარობა, ოხუნჯობა და ჭიდილი.

ამ დროს ველაკაშივე გამოჩნდა 10 წლის პატარა მენახირე დათა. წამოწითლებულს წინ გამოევდო ხუთი სული ოთხფეხი, ერთ მხარზედ ფარაჯა გადაევდო, მეორეზედ საცდლით გუდა და მოსდევდა ფეხ-აკრეფით თუ აბურძკენილი.

— არ დაურივო ე ძროხებ-ტიალები, ბიჭო! ჩვენ შენ არ დაგირევთ! შენ რა ძროხების მომეღელი ხარ?! მამაშენმა აიღოს და მიაბაროს ვისმე! შუბლის შეკვრით დაუწყო პატარა დათას, მოახლოვების უმალვე, შაქრომ.

— მოყე, დათავ, გატყუებს, გეხუმრება. — მხიარულათ მიეგება ობოლა. სხვა ამხანაგებმა სიცილი დაიწყეს.

— კი არ ვეხუმრები მართალს ვეუბნები — გაიმეორა შაქრომ.

— მაშინ მე დავარჩევ და დათასთან წავასხავ, — სთქვა ობოლამ. შაქრო შეეყოყმანდა. ობოლა კარგი საქონლის მომვლელი ბალდი იყო, ამიტომ, თუმცა მას არ უყვარდა ის, მაგრამ იმისთან ყოლას კი ყოველთვისა ცდილობდა შაქრო. როცა კი ობოლასთან არა ჰყოლია ნახირი, შინ მუდამ გაცარცვული მისულა. სწორეთ ამიტომ შეეყოყმანდა ეხლაც. სხვები



ისევ სიცილს განაგრძობდენ. ამასობაში ძროხები გაიფანტნენ. საქონელი კარგა წინ წამოსცდათ, მათ ახლო-მახლო მხოლოდ რამდენიმე სული ღა ჩანდა.

## IV

— ბალღებო, საით გავაყოლოთ, მოიგონა საქმე ისევ ობოლამა.

— იდრაცოში გადავრეკოთ, მოსვენებით ვიქნებით—სთქვა შაქრომ.

— მოსვენებაზედ კი ნუ ვიფაქრებთ, საქონლის გაძღობაზედ ვიფიქროთ, ძმობილო, უპასუხა შაქროს ობოლამა.

— შენ ნუ მომიკვდები, შენი მამასახლისი მაგ ძროხებს შენ გაჩუქებს, ძაან უმუყაითე..

— მაგნალიანის ნაგლეჯში სჯობია, მახლობლათ ყანები არაა და საყარზედ დაძინება შეიძლება, გააწყვეტინა ლაპარაკი შაქროს გიგამ.

— მე კი გძელ-ველში ვამჯობინებ, დიყიც აღერდებოდა და ვსქამთ—ჩაერია ლაპარაკში ვანო.

— ობოლას კაი ბალახები ეცოდინება, ამას გაუგონოთ, ურჩია ყველას პატარა დათამ.

— მართლა, შენ საით იტყვი, ობოლავ, —თითქმის ერთხმათ შეეკითხნენ ყველანი მას, შაქროს გარდა.

— ჩვენ საქონელს მივყვეთ და ნახირი თავათ აიღებს ბალახის აღლოს, ოგურს, —სთქვა ობოლამ.

მწყემსები როგორც იყო შეთანხმდნენ და ობოლას რჩევას დაადგნენ. ძროხა ნაკაფებისკენ ჩაჰყვა. იქითკე დიდი ხანია არ მოხვედრილიყო და ბალახი ეგულებოდა. ბავშვები უკან მისდევდნენ მხოლოდ.

— თვალყურიანათ ვიყვნეთ, უკან არაფერი დაგვრჩეს, თორემ ოთარაანთ ახობში, ყანებში, გაგვივლენ, გააფრთხილა ამხანაგები ობოლამ.

— სუსხი გაქვს თომა-მეველისა, გეშინია და იმისი გაფრთხილება გაქვს—წაუღვარძლა პირველს შაქრომ.

— თორემ შენ კი არ გაუძვრენიხარ ასკილში აი—მიამახნა პატარა დათამ შაქროს, ობოლას მაგივრათ.

თვით ობოლამ კი არაფერი უთხრა მოწინააღმდეგეს.



როცა ჩვენი მენახირეები ნაკაფებში ჩამოვიდნენ უკვე მოშუადღევებული იყო. ცხელოდა. მიზნადილი ტყე უძრავად იყო, გაქვავებული. ყოველივე სულდგმული ჩრდილებს მიჭფარებოდა. ფრინველები სადღაც მიმალულიყვენ.

ჩასვლის უმაღ ძროხა საყარისკენ გაეშურა. საყარს მაღალ მექემ შუა მდებარე ღრანტ ხევს ეძახდნენ. ხევს გარეშემო მაღალი, უზარ-მაზარი წიფლები ჰქონდა შემომწკვრივებული. ძროხა წიფლებს ქვეშ დადგა. კამეჩობა კი შიგ ხევში ჩაეყარა.

— დავათვალიეროთ და მერე დავსხდეთ ჩვენცა, ბიჭებო — უთხრა ამხანაგებს ისევ ობოლამ.

— გააჭირე საქმე ამდენი შენი გაფრთხილებით. უკმაყოფილოთ უთხრა შაქრომ ობოლას. — მანდ რა წვრილიანებში დაგვრჩებოდა რამე, ვერა ხედავდი უკან მოვდევდით.

— „სიფრთხილეს თავი არ ასტკივა“ — ღიმილით უპასუხა ობოლამ იმას.

შაქრომ ჯიბრით მაინც არ დაათვალიერა თავისები. დანარჩენებმა კი ყველამ მოიკითხეს. ყველასი იქ იყვნენ, მხოლოდ პატარა დათას აკლდა ორი კამეჩი.

ისინი ოთარაანთ ახლებში, ფეტვებში იყვენ დაჩვეულები და უკან სადღაც ჩამორჩენილიყვენ იქ გასაპარავათ. დათამ ტირილი დაიწყო. კამეჩებს მოძებნა უნდოდა: ის კი, გაუტნობელი იყო ტყე-მინდვრისა და მისავალ-მოსავალი არ იცოდა.

— მე დილასვე გითხარ შენა — რომ, შენ საქონლის მომვლელი არა ხარ მეთქი. ისინი ოთარაანთ ახლში ფეტვს ესტუმრებოდნენ. მაგიერში სალამოზე თომა-მეველე კარგა მოგამხიარულებს — აბა სატირელი მაშინ გექნება შენა — ნიშნის მოგებით უთხრა შაქრომ მტირალა დათას.

— სუ, სუ, კარგი, ნუ იტირებ. საყარიდან გამოსავლებზედ თვალი გქონდეთ, ავსული ძროხა ძველ დაბლისკენ არა გაგეპაროთ-რა და იმეებს მე აქ ჩამოვალავ, — სთქვა ობოლამ და კამეჩების მოსაძებნათ ფიცხლავ გატრიალდა.

მოდუშულ დათას სახე გაუბრწყინდა. შაქრომ კი ტუჩები აიშვირა ობოლას საქციელის გამო. კამეჩები მართლა ოთარაანთ ახლში იყვენ. ორივენი ვადასულიყვენ შუაგულ ფეტვში და ხარბათა სძოვდნენ. ობო-



ლამ მსუნავი კამეჩები მარდათ გამორეკა და წვრილიან დაღმართი სულ სირბილით ჩამოატარა. გაქარხლებულმა ობოლამ საყარხედაც მალე მირეკა ისინი. დათა მოუთმენლათ ელოდა. კამეჩების დანახვამ ჰატარა მენახირე მეტათ გაახარა. სხვა მენახირეებს, ობოლას ჩამოსვლამდე — ყველას შესაფერი გასართობი ეშოვა: ბორცვზე, საყრის გვერდზე, წიფლის ძირში გიგას დაეძინა, ვანოს სადღაც შეყვითლებული ტყემალი ეხოვა და იქვე იმას სჯამდა, შაქროს ჯერ კალიები ეჩხუბებინა; ახლა კი ჭიანჭველებს ბინა აუშალა, პირით შიგ წყალი ჩაუსხა და შემდეგ რაღაც გძელი ჭია ჩაუგდო შიგ საწვალეებლათ. დათამ და ობოლამ იმავე წიფლის ძირში ობოლას თვალშავი მიაგდეს და ტკიპების შორება დაუწყეს.

## VI

მზე გადაეხარა, ცოტა აგრილდა. საქონელი ჯერ არ იყო აშლილი. მენახირეებიც ისევ ისვენებდნენ. უცბათ ხევიდან მეველე თომამ ამოყო თავი. ხელში კალათების საწნავი, აყრილი ყაპატო ეჭირა და ზავშვებისკენ მოდიოდა. ყველას ფერი ეცვალა. დათას შეეშინდა. ობოლას გულმა გაუგო: ძველ დაბლის ყანებში გაუშვიათ საქონელი ჩემ აქ არ ყოფნის დროსო, გაიფიქრა მან. შაქრომ თომას დანახვის უმალ, ყანისდათ ძროხას დაუწყო ხევში ჯავრობა და მის გზის ასაქცევათ ჩქარის ნაბიჯით ხევისაკენ წავიდა.

გიგას ეძინა. დანარჩენები წიფლის ძირში ისხდნენ.

— გამარჯობა, ბაღდებო, უთხრა თომამ.

— გაგიმარჯოს ღმერთმა — უპასუხა ყველამ.

თომას ხმაზედ გიგას გამოეღვიძა.

— რაზედ დაგიღუპინებიათ ძველ დაბალში ყანები თქვე არ დასახდელეხო, დაჰკივლა მოსულმა თომამ. თქვენ აქ მძიმეთ გრილში ჩხირკედელაობთ და საქონელს თავს ანებებთ? იმისათვის დაეთრევით ტყე-მინდორში, რომ სოფელს სარჩოზედ ხელი ააღებინოთ, თქვე ღვთისაგან წყეულეხო? ჰურის მჭამელები არა ხართ, თქვე დასაბრმავებლებო? ნაბა ეხლავენუ გატიტვლდებით ყველა! მე თქვენ ავ მხალს შეგინელებთ!



ბავშვები ყველა შემკრთალი იყო. დათას თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე. ყველა სდუმდა. შაქრო ხევს პირათ მოშორებით იდგა და იქიდან იბღვირებოდა.

— რეები იყვენ, ვისები, გვითხარი, თომავე, და თუ დამნაშავეები ვართ, მაშინ დაგვცოცხე—დაარღვია სიჩუმე ობოლამ.

— განა ვტყუი, შვილო, საყარის შემოსავალშივე არიან: ორი ქურციკას კამეჩი, ორი პავლეს ხარი და ერთიც ქვრივ თინას ნიშა ძროხა,—დაბალი ხმით უთხრა ობოლას მეველემ.

— ან კამეჩები ვისა ჰყავ, ან ხარები და ან ძროხა?

— ძროხა მე მყავს, თავის ჩაღუნით და დარცხვენით უთხრა ობოლამ.

— მეცა მყავს თინანთ ნიშა—მღელვარე ხმით წამოიძახა პატარა დათამ.

— კამეჩები და ხარები?

— ხარები თავდანებებულებია—იცრუა გივამ.

— ჩემები მაშ არაფერი ყოფილა სულ—სთქვა ხევს პირას მდგომმა შაქრომ.

— მაშ ვისა ჰყავს ხარები, შე პირქვე დასამარხავო—შენა ხარ სულ სოფლის ამომგდები, დაუქნია თითი შაქროს თომამა.

— ჩემგან რა გინდა, კაცო, ხარები გივასა ჰყავს და კამეჩები ვანოს—იქიდანვე უპასუხა შაქრომ მეველეს.

— აკი თავდანებებულებიაო, კოლეგავ, (ასე ეძახდნენ გივას სოფელში) კისერში წარტყმით უთხრა თომამ და ზურგიდან გულდა მოხსნა. გულიდან საგძალი მიწაზედ წამოუყარა და ცარიელი გულდა კი ხელში დაიჭირა. ასევე მოექცა ვანოსაც. ჯერი ობოლაზედ მიდგა ეხლა. დათას მდულარება ჩამოსდიოდა და ობოლას გვერდში ეკვრებოდა.

— შენც ამ არდასახდელებმა აგიყოლიეს, ობოლავ, ზაფხული გადის, შვილო, ფეხი არ გაგიბრუნებინებია, ეხლა რაღა ღმერთი გაგიწყრა! უგულო რომ მიუხვალ მამასახლისს—ძან თვალებს ამოგიკოცნის? შენ ამათი ყურის გდება რაში გამოგადგება, შვილოსა?! მიუბრუნდა თომა ობოლასა და ნებით გაწვდილ გულდას ხელი წაავლო. თომამ გამორთმევა ვერ



მოასწრო. უცბათ ხელებში სახე შეშლილი პატარა დათა მივარდა და ქვითინით ვედრება დაუწყა ობოლას გუდა არ წაეღო.

— მეცა მყავს ნიშა, ჩემი—გუდაც და ფარაჯაც წაიღე, ოღონდ ობოლას ნუ გამოართმევ.

— ჩვენი ბრალთა, ობოლა არ არის დამნაშავე, ჩემი კამეჩები დაიკარგენ, ობოლა იმათ მოსანახათ წავიდა და მაშინ გაგვპარვიან, გულ-ამოსკენილი, ტირილით შესჩიოდა მეველეს მთრთოლოვარე დათა და თან ობოლას ეფარებოდა.

თომა-მეველემ შეკრული შუბლი გაიხსნა. პატარა დათა აათვალიერ-ჩაათვალიერა და გაიღიმა. ბოლოს დაიხარა და მტირალა დათას შუბლში აკოცა.

— სიკეთის დანახვა გკოდნია — გაიზარდე, შვილო, ყოფილ! მხიარულათ მიუბრუნდა მტირალა დათას მეველეს და დათას გამოსარჩლებით გულ-ამომჯდარ ობოლას გუდა უკანვე დაუბრუნა.

უკანვე გადუყარა გულები აგრეთვე სხვა მენახირეებსაც. შემდეგ თომამ მამა-შვილურათ ყველანი დაარიგა, გააფრთხილა და ზევით ტყისაკენ გასწია. ბავშვები ისევ ძველს ადგილას იდგნენ. შაქრო თომას წასვლის უმაღ ამოვიდა ქვეიდან. გიგომა და ვანომ ყველაფერი დაივიწყეს და სიხარულით ხტოდნენ — რომ გულები უკანვე დაუბრუნა თომამ. თვალ-ცრემლიანი დათა ნეტარი ღიმილით შეჰყურებდა ობოლას და სიხარულის სხივებით დიდი შავი თვალეები უელავდნენ.

ობოლაც თვალე-დაწყლიანებული მიშტერებოდა დათას და აზრში ბებერ თინას სიტყვებს იმეორებდა „ღმერთი ყველგან გიშველისო“.

## VII

აგრილდა, საქონელი წამოიშალა და ამწვანებულ ფერდოებს შეეფინა. ტყემ თავისი გამოურკვეველი საიდუმლო ჩურჩული დაიწყა. ხეების ფოთლებმა მიმაჯალ სხივებს ალერსიანი ნანის სიმღერა დაუწყეს. ფრინველები ახმაურდნენ. ხევმაც ხმა ამოიღვა და თავისი შხუილ-ღრიალით მდუმარე—კუშუკლდეებს მყუდროება დაურღვია.





# მზრეპი

რუს-იაპონელთა ომის ამბავი.

(ინფანტაევისა)



დაქრილნი ჩაჩუმდენ. ისინი გართულნი იყვენ თავიანთ ფიქრებში.

— მეტათ შეწუხებულნი ვარ, წიგნი არ ვიცი—დაარღვია სიჩუმე სტეფანემ—ის იყო გამოღალაშქრებას ვაპირებდით, რომ სახლიდან წერილი მომივიდა და ვერ მოვასწარი ვისმესთვის წამეკითხებინა. აქამდის ჩემ ჩანთაში ძევს ეს წერილი, არ ვიცი ჩვენები რას იწერებოიან.

— მომეცი, მე წაგიკითხავ, უთხრა განკომ.

— შენა?! გაკვირვებით ჰკითხა სტეფანემ—განა ჩვენებურათ კითხვა იცი?

— შერე რა არის გასაკვირველი, ღმერთი როგორ გამიწყრებოდა და კითხვასაც არ ვისწავლიდი.

— თქვენებმა ბევრმა იცის კითხვა? ცნობის მოყვარეობით ჰკითხა სტეფანემ და თან წერილს ეძებდა.

— ჩვენ იაპონიაში წერა-კითხვა ყველამ იცის.

— მართალს ამბობ? უნდობლათ გადახედა სტეფანემ.

— ჩვენში იმისთანა კაცი არ არის, რომ წერა-კითხვა არ იცოდეს, ყველა ვალდებულნი ვართ. ყმაწვილებს რომ სწავლის დრო დაუდგებათ უსათუოდ მოვალენი არიან, რომ სკოლაში მიაბარონ, მაგ მხრივ ჩვენში დიდი სასტიკობაა.

„რა მარჯვე ხალხი ყოფილა ეს ურჯულო იაპონელები“, გაიფიქრა სტეფანემ.



— აბა თუ იცი მართლა კითხვა, წამიკითხე—უთხრა იაპონელს სტეფანემ და ჩანთიდან ამოღებული წერილი მიაწოდა.

განკომ გახსნა წერილი და დაიწყო კითხვა: „გაგიმარჯვოს, ძვირფასო და დაუფასებელო ქმარო და ჩვენო მამავ, სტეფანე ალექსანდრეს ძევ! ყოვლის უმაღლეს გაცუობინებთ, რომ სულით და ხორციით თქვენც კარგათ ბრძანდებოდეთ.

„საყვარელო ქმარო, სტეფანე ალექსანდრეს ძევ, მომწერე სადა ხარ და როგორ მსახურობ. წერილები პირდაპირ სოფელში გამომიგზავნე და არა ქალაქში, რადგან იქიდან დიდხანს არ მაწოდებენ. 28 აპრილს გამოგიგზავნე წერილი, არ ვიცი მიიღე თუ არა? რა ვუყო პურს, სათესლოთ შევინახო თუ გავყიდო? გავალეწინე დიდი ვაი-ვაგლახით. მუშახელის შოვნა ძნელია, ხალხი ჯარშია წასული და ყველა მეტათ შეწუხებულია. ამბობენ სახელმწიფო შემწეობას აღმოგვიჩენს ყველას კი არა, ხოლო იმათ, ვისი ოჯახისაგანაც მუშა ხელია წასული. ვიყავი მამასახლისთან შესატყობათ მომცემენ თუ არა შემწეობას, მაგრამ ვერა გავაწყერა. მითხრეს, შენ არა გიშავს რაო, პური გაქვსო. იმას კი არა ფიქრობენ, გაზაფხულს საიდან ვიშოვო სათესლო. როგორ მიჩვენე, სტეფანე ალექსანდრეს ძევ, ზამთრის პირას ძროხა გავყიდო თუ არა, ხომ იცი, რომ ზამთარში ვერ გამოვკვებავ. ერთი სიტყვით ყველაფერი მომწერე, როგორ მოვიქცე. სახაროვის ოჯახმა გთხოვა შეიტყო მათი შვილის ამბავი, სად არის. მათ აღდგომის შემდეგ აღარ მიუღიათ წერილი და არ იციან მისი ამბავი. წრეულს ცუდი მოსავალი მოგველის, წვიმები სულ არ იყო და ბალახი არ ვარგა. არ დაგავიწყდეს მომწერე ჩვენებური ვინ მსახურობს შენთან, რომ მერე მოგიკითხო, თუ ვინიცობაა შენი ამბავი არ მომივიდეს, რადგან ბევრ სახლობას არ მიუღიათ თავისიანების წერილი და არ იციან ვის ჰკითხონ იმათი ამბავი. ამიტომ გთხოვ მომწერო ვისთან მსახურობ. გიგზავნი ფულს, ერთ მანეთს, ეს იმიტომ, რომ წერილი არ დაიკარგოს, ფულს როცა ვგზავნით წერილი აღარ იკარგება. ნაცნობები მოკითხვას გითვლიან, ხშირათ მოგვწერე, თორემ ვიდარდებთ, ჩვენ ღვთის მადლით კარგათა ვართ და შენც კარგათ იყავი. შენი მოსიყვარულენი: ანნა, ალექ-



სანდრა, ივანე და მიხეილი მეშჩერიაკოვები. ჩემგანაც მძილე მოკითხვა, სტეფანე აღექსანდრეს ძევ, მეზობელი შენი, ვასილი ბუხაროვი“.

— მაღლობელი ვარ, სტეფანე, სჩანს ყველანი ჩვენსა ცოცხლები არიან და კარგა ყოფილან.

— ვინა გწერს ამას? ჰკითხა განკომ.

— წერილი ცოლისაგან არის, მაგრამ მან არ იცის წერა და ეტყობა მეზობელს, ბუხაროვს დაუწერია და მოკითხვასაც ის მითვლის.

— ჩემო ძმაო, თქვენ კაი წესი არა გქონიათ, — ცოტა ფიქრის შემდეგ წამოიძახა განკომ.

— განა თქვენ ჩვენზე უკეთესი წესი გაქვთ? ცნობის მოყვარეობით იკითხა სტეფანემ.

— რას ამბობ, რა შედარებაა! ჩვენ საომრათ დამშვიდებულნი ვავდივართ, დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენ ოჯახს სამართლიანი კანონი მფარველობას გაუწევს.

და განკო მოუყვა სტეფანეს თავისი სამშობლოს წესკანონების აღწერას. მისი სიტყვით — მათი აყვავებული კუნძულები მშვენიერ წალკოტს წარმოადგენდენ. მათი შრომის მოყვარეობა, ზრდილობიანობა და განათლება გასაოცარი იყო. მათი უსამზღვრო სიყვარული მიკადოსი, და თავიანთი ქვეყნისა. თავისუფალ დაწესებულებებმა გახადეს ისინი მთელ აზიაში ძრიელ და ღონიერ ხალხათ

ასე დიდხანს დამშვიდებით ლაპარაკობდენ ესენი და თან კონიაკს შეეჭკოდენ.

— ეს, რა გაქვს ხელზე? იკითხა სხვათა შორის სტეფანემ იაპონელის ხელზე რომ დაინახა ტყავის სამაჯური საათით.

— ესა? საათია.

— საათი? ნუ თუ ყველა ჯარის კაცს საათი აქვს?

— ყველას არა, მაგრამ ბევრს კი აქვს, საათი და ყიბლანი (კომპასი), ძმაო, ყველა ჯარის კაცისთვის ომის დროს გამოსაყენია.

— ყიბლანიო, ეგ რაღაა? რაშია გამოსაყენი.

— აი, დახედე, უჩვენა განკომ საათთან ერთათ სამაჯურზე გაკეთებული პატარა ყიბლანი — განა შენ არ იცი რისთვის აკეთებენ ყიბლანს?





— აბა, მაშ აქ ხომ სამუდამოთ არ დავრჩებით, არ ვიცო  
კი შენ მარტო აქ როგორ დაგტოვო.

— ჩემზე ნუ ფიქრობ, შენ მოაწყე შენი საქმე. მე მარ-  
ტოც როგორმე მივცოცდები ჩვენებთან.

— არა, ძმაო, ჩვენ აქ პურ-მარილს ერთათ ვიყოფდით  
და მე ვერ დაგტოვებ მარტო, უმწეოთ—მოდი ერთათ წავი-  
დეთ, იქნება როგორმე გავიდეთ შარა გზაზე, თორემ ცალი  
ფეხით ვერ ივლი, წყალიც ხომ აღარა გვაქვს, სულ დავლიეთ,  
სიცხე კი დიდია, დასუსტდები და დაიღუპები. სხვა რომ არა  
იყოს რა, რომელიმე წყაროსთან მაინც მიგიყვან.

განკომ მადლობით შეხედა სტეფანეს, ეტყობოდა მისი  
სიტყვებით ნასიამოვნნი დარჩა.

— გმადლობ, მეგობარო, შენ ნამდვილ ძმობას მიწევ,  
მართალია, დაჭრილი კაცის დარჩენა უწყულოთ ამისთანა სიც-  
ხეში ნამდვილი სიკვდილია. არა, სჯობია დავიცადოთ, სანამ  
სიცხე არ გადივლის?

— რატომ, შეიძლება მოვიცადოთ, საღამომდის ცოტა  
დავიძინოთ, დაეთანხმა სტეფანე.

დაჭრილმა მტრებმა ჩრდილს მიაფარეს თავი და დაწე-  
ნენ დასაძინებლათ „კაი ხალხნი ყოფილან ეს რუსები, კე-  
თილნი, მშვიდნი, ფიქრობდა დაძინების დროს იაპონელი.

სტეფანე დიდხანს ტრიალებდა, ხან ერთს გვერდზე გა-  
დაბრუნდებოდა და ხან მეორეზე. „ეს იაპონელები რა მარჯ-  
ვე ხალხი ყოფილა“!

— ძნელი იქნება, ძალიან ძნელი მათთან ბრძოლა. ყვე-  
ლას ცოდნია წერა-კითხვა, ყველგან თითქოს თავის სახლში  
არიანო, ყველაფერი იციან, წამლობაც, ყველაფერი, რა გინ-  
და რა იარაღები არა ჰქონდეთ, ჩვენ კი რა ვართ, უმეცრები.

მზე ჩასვლაზე იყო, როდესაც დაჭრილებმა გამოიღვიძეს.

— აბა, ახლა უნდა გადავწყვიტოთ საით წავიდეთ.

მან ჩანთიდან ამოიღო ბინოკლი (დურბინდი) და დაიწყო  
არე-მარეს თვალთვლება

— შენ გამადიდებელი შუშაც გქონია? ხელ ახლათ გა-  
იკვირვა სტეფანემ.

— ბინოკლი, სთქვა განკომ—ყველა ჯარის კაცს, თუ კი  
ჯიბე ნებას მისცემს, თანა აქვს. განა თქვენ ჯარის კაცებს  
ბინოკლი არა აქვთ?

— რას ამბობ, მაგვარი რამე აფიცრებს აქვთ, ისიც ყველას კი არა!

— გინდა ჩაიხედე? უთავაზა განკომ ბინოკლი სტეფანეს. მან აიღო ხელში ბინოკლი და არ იცოდა, როგორ მოემარჯვნა.

— ხედავ, ჩემი საქმე არა ყოფილა, არც კი ვიცი, როგორ ვიხმარო.

იაპონელმა უჩვენა მისი ხმარება და როდესაც სტეფანემ არე-მარეს შეხედა, მის გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა.

— ბეჩავ, ეს რა კარგი რამე ყოფილა! ის მთები შორიდან რომ ლურჯათ მოსჩანან ეხლა ხელის გულზე ვხედავ, ამიტომაც სულ უკან-უკან ვიხევთ, რას ვნახავთ უბრალო თვალით, თქვენ შორიდანვე ყველაფერს ხედავთ, სწორეთ სასწაული რამ არის.

როდესაც დაქრილებმა დაათვალიერეს არე-მარე, გადასწყვი-





ტეს მახლობელ მთისკენ წასულიყვენ, რადგან იქით ეგვიპტის  
 ლეზობდათ წყალიც და შარა გზაც.

და ისინი გაუდგენ გზას.

იაპონელი დაქრილ ფებს ვერა ხმარობდა, ერთ ფეხზე  
 უნდა ევლო, სტეფანეს სალი ხელი ჰმეველოდა მას. ერთი  
 თოფი მიატოვეს გზაზე, ველარ ზიდეს.

ყოველ წამს დაქრილები ტკივილებისაგან ყვიროდენ,  
 ხშირათ შედგებოდენ, სწორდებოდენ, და ასე მიდიოდენ ხშირ  
 ცოცხობანა ბალახში, რომელიც უფარავდა გზას და ხოლო  
 ყიბლანის საშვალებით იგნებდენ გასავალს.

ბოლოს მზის ჩასვლისას გავიდენ ცარიელ მოტიტვლე-  
 ბულ ადვილას, ერთ მთის ძირას. ჯერ რამდენიმე ნაბიჯიც  
 არ გადაედგათ, რომ ყოველ-მხრიდან მოესმათ ყვირილი—  
 „ბანზაი, ლუსი, ულა, ბლავო“ და ერთ წამს იაპონელები გარს  
 შემოერტყენ. ამათ შორიდანვე, მთის მწვერვალოდან დაენახათ  
 ბალახებში მომავალები და ელოდენ მათ გზაზე გამოსვლას.

შეშინებულმა სტეფანემ რომ დაინახა მტრები თოფი მოი-  
 მარჯვა და ის იყო უნდა შევარდნილიყო დასამალავათ ბალა-  
 ხებში, მაგრამ იაპონელები გადაელობენ, შეუკრეს გზა.

— კარგი რუსსი! ყოჩაღი რუსსი! მოისმოდა ყოველ  
 მხრიდან იაპონელების დამანჭული რუსული ენა და ცდილო-  
 ბდენ ენიშნებინათ სტეფანესთვის, რომ ცუდს არაფერს დაუ-  
 შავებდენ.

ამას კი არა ესმოდა რა და ხიშტით უნდოდა გაეგნო  
 გზა. ამ დროს განკო მოელაპარაკა თავისიანებს და დაუყვირა:

— სტეფანე, ნუ გეშინიან, არაფერს დაგიშავებენ. მათ შე-  
 იტყეს რა მზრუნველობით ეკიდებოდნი დაქრილ მტერს და  
 შენი საქციელით ძალიან მადლობელი არიან. მთხოვეს გად-  
 მოგცე, რომ ჩვენთან დარჩე ტყვეთ კი არა—როგორც სტუ-  
 მარი.

სტეფანემ ჯერ უნდობლათ გადახედა ამ თავის მტრებს,  
 მერე კი იფიქრა: სულ ერთია, წინააღმდეგობას ვერ შევძლე-  
 ბო და დაცხრა.

მალე ორივე დაქრილები იმათ მიიყვანეს თავიანთ ბა-  
 ნაკში, რომელიც იქვე მთის შესახვევში იყო. იაპონელმა  
 ექიმმა გასინჯა დაქრილები და იარები შეუხვია. სტეფანეს



ქრილობა სულ უბრალო აღმოჩნდა, ძვალი არ ჰქონდა გატეხილი და საავათმყოფოში დაწოლა არ დასჭირდა.

მის იქ ყოფნაში სტეფანეს იაპონელები დიდი პატივით ექცეოდნენ. მას სრული თავისუფლება მისცეს და თუ მოინდომებდა შეეძლო ყოველ წამს იაპონელების ბანაკი მიეტოვებინა. მათ უთხრეს მადლობის ნიშნათ დაქრილი იაპონელის მოვლისთვის, რომ როდესაც კი მოინდომებს წასვლას იაპონიის ჯარის კაცები ღამით მიაცილებდნენ რუსსთა ბანაკამდის, მაგრამ სტეფანეს არ ეჩქარებოდა თავისიანებთან მისვლა.

წასვლის წინეთ სტეფანე მივიდა დაქრილ ამხანაგთან საავადმყოფო კარავში გამოსასაღმებლათ.

-- დიდი მადლობელი ვარ შენი, უთხრა განკომ, — რომ არ მიმატოვე მინდორში, იქ უპატრონოთ მოვეკვდებოდი. სახსოვრათ მჩუქებია შენთვის ეს სამაჯური საათით და ყიბლანით — გამოგადგება. ჩემი სამხედრო სამსახური გათავდა. ექიმმა მოთხრა, რომ ფეხი მოსაჭრელი მაქვს, ტყვიამ ბარძაყი გამოფუჭა, უფეხოთ აბა რა მეომარი ვიქნები? მშვიდობით, კეთილო ამხანაგო!

და მან მაგრათ ჩამოართვა ხელი შეწუხებულ სტეფანეს, რომელიც ცრემლებ წარეული ტოვებდა თავის მტერს.

იმ ღამის გათენებისას იაპონელების შემწევობით სტეფანე მივიდა თავიანთ ბანაკში. მეორე დღეს საღამოს ის იჯდა თავის ამხანაგებში და თავის თავგადასავალს უამბობდა. უჩვენებდა და უხსნიდა იაპონელისაგან ნაჩუქ ყიბლანის მნიშვნელობას.

(დასასრული).

ანანტასია.





# ვარდი, ასკილი და ანწლი.

(ლეგენდა).



უნებისაგან შემკულ წალკოტში  
ჩარჩენილ იყო ძირი ანწლისა,  
და ყველამ უწყით თვისება მისი,  
ნათქვამი არის უკვე ას წლისა:

ყოველ მცენარეზედ უარესია  
და საზიზღარი ყოვლის თვისებით;  
ვერ მოსპობს იგი თვისსა სიმყარაღეს,  
რა გინდ შეამკო დიდის ღირსებით!

წალკოტში მყოფნი სწუხდენ ყველანი  
ამ ანწლის ძირის ბაღში ჩარჩენას;

შესახედავათ სძაგდათ ყველასა,  
მბარად სწყევლიდენ მისსა გაჩენას.

ანწლმა რა იგრძნო ერიდებოდენ  
და სძულდა ყველას მისს ახლოს გავლა,  
ფიქრობდა რითმე ეხმარა ღონე,  
თვისი სიმყარაღე რომ დაემალა.

თუმცა მისს გვერდით იყო ასკილი,  
და იგიც ფურცლებ ჩამოცვინული,  
სუნი არ ჰქონდა სიძველისაგან,  
იყო დიდის ხნის ის გაყინული.

ერთხელ არჩიეს: „ვეცადოთ რითმე  
გვერდით დავიკრავთ მაისის ვარდი,

რადგან შეეტრფის იმას ყველანი  
და ყვავილთ შორის არა ჰყავს ფარდი.

იქნებ მის ტრფობით აღარ შესძადგეთ  
ჩვენ ახლო-მახლო გავლა-გამოვლა;  
სუნს გარდმოათანს ჩვენს არე-მარეს,  
რა რომ ექმნება წმენდა და მოვლა!

სურვილისამებრ მათ მოიბოვეს  
მაისის ვარდის ნერგი-პატარა,  
დარგეს თვის შორის, და თავ-მომწონეთ  
აყვავდა ფრიად და გაიხარა.

ვარდის ბუნება ჩვენ ყველამ უწყით:  
მშვენიერია ფეროვნებითა,  
რო მიეახლო, მყის მიგიზიდავს  
თვისის საამო სუნნელებითა.

ეს ნერგი მაინც ისე გამოდგა,  
აღმატოდა ყოველს ვარდზედა,  
გროვა ბუღბუღლთა ეტრფოდეს მარად,  
სურდათ ემღერათ მარად მასზედა.

ვარდს რა ნახავდენ, აღარ ახსოვდათ,  
რომ ანწლი იყო მახლობლათ მისა,  
მასთან ასკილი არ სასიამო,  
გახუნებული და დიდის ხნისა...

მაისის ვარდმა თვისი მშვენება  
და სუნნელება ესრეთ მოფინა,  
რომ ანწლს და ასკილს მათი მოძულე  
ვით ფიანდაზა წინ დაუფინა.

ბევრმა ისურვა ვარდის გადარგვა  
შეუფერებელს ამ ადგილიდან,  
ანწლი, ასკილი ცდილობდნენ მარად,  
რომ გზა შეეკრათ ყოვლისა მხრიდან.



ვარდზედ ისინი მცირედ ზრუნვიდნენ,  
მათ სურდათ მხოლოდ მათთან რგულიყო  
და დაეფარა მათი სიმყრალე,  
ვარდი თუნდ კიდევ დაჩაგრულიყო.

დიდხანს ფარვიდა ანწლის სიმყრალეს  
ვარდი გაშლილი, გამშვენებული,  
მაგრამ იმასაც ამ სიმყრალემა  
ფერი უცვალა, მოუწყლა გული.

მინამ გაუძლო ანწლის მძიმე სუნს,  
მისს გვერდით ყოფნა მანც მოითმინა;  
შემდგომ შესწუხდა, ყური დაჯგლო  
და ყველასაგან ეს მოისმინა:

„საწყალი ვარდი, ყვავილთა მეფე,  
ანწლთა და ასკილთ შორის ჩარგული!  
ნუ უკვე ვერ გრძნობს, ანწლის სუნისგან  
ფერი ეცვალა, არის ჩაგრული?!“

შემდგომ ამ სმენის თავი დახარა,  
შევიდა იგი ღრმა ფიქრებშია,  
სთქვა: „მართალია, ამათთან ყოფნით  
ვერ გავიხარე თავის დღეშია.“

რა ვპყო, რა მმართვეს, ვინ არს  
მშველელი,  
რომ აქ ძირი-თურთ მე ამიყვანოს  
და მომაშოროს ანწლსა და ასკილს,  
სხვა მცენართ შორის გარდამიყვანოს!“

ამ დროს უეცრად შორის ქვეყნიდამ  
გამოჩნდა ერთი უცხო მებაღე;  
ვარდი რა ნახა, შეკრთა და უთხრა:  
„დიდი ხანია მსურდა მენახე.“

მე ვარ მებაღე უცხო ქვეყნისა,  
 სად არს მრავალი ყვავილთა კრება;  
 მაგრამ შენ სძლიე მშვენებით ყველას  
 და მით ვისურვე მე შენი ხლება.

ბუნებისაგან განმშვენებულო,  
 ვარდო, ძვირფასო საყნოსველათა,  
 მომეცი ნება დაგრგო ჩემს ბაღში  
 ანწლის, ასკილის უკითხველათა!

შენ მაგათ შორის არ გშვენის ყოფნა,  
 მიკვირს ამდენს ხანს როგორ გასძელი!  
 ვინ დაგრგო აქა, უთესს ალაგას,  
 წყეულიმც იყოს იმისი ხელი!“

ვარდმან მიუგო ნაზის სიტყვებით:  
 „გმადლობ, რომ ესრედ ზრუნავ ჩემთვისა!  
 სხვა მებაღეებს მე ვერ მივინდე,  
 ავჰყვავებულვარ თურმე შენთვისა!“

შემდეგ ამ შენის კარგის აღთქმების  
 შენ მეყოლები ჩემდა მცველათა...  
 გთხოვ მომიარო და არ გამხადო  
 ანწლის, ასკილის საკიცხველათა!“

მებაღემ რაკი ეს მოისმინა,  
 აღტაცებითა გაიხარა მან;  
 ხელთ იგდო ვარდი, სურვილისამებრ,  
 თვისის ბალისკენ გააქანა მან!

ანწლმა რა ნახა თვის შორის რგული  
 ვარდი, ძირითურთ აღმოღებული,  
 უთხრა ასკილსა: „აწ რა გვიმართებს,  
 ჩვენ ორნივ დავრჩით წყალ-წაღებული!“



მე ხომ მყრალი ვარ სუნით, თვისებით  
და მისთვის ვძულვარ ყველასა,  
შენც მოგაკლდების შემდეგ პატივი  
და გული გიწყებს მითი ძგერასა!“

ასკილმანც იცის, მათ არე-მარეს  
დასეირნობდნენ ვარდისათვისა...  
დალონდა ფრიალ, ჩაფარდა ფიქრში,  
ქმუნვა შეექმნა ამისათვისა.

მართლაც დაჰკარგეს იმათ პატივი;  
ვინლა გაივლის აწ მათსა მხარეს?!  
დასრულდა მათი ბალის მშვენება,  
ერთად ფურცლები ძირს ჩამოყარეს...



იოულგო პირონი პიღა ძამ აზ ნეუშმა  
იოუნბელონე რაბლარობს იფრე  
პნელობნიეგ აზ ში... :სეფიესა აზბალ  
იოულბრეფე-ოფეუ რიბრეფე ეიმბოლ შეფე



# ც რ უ.

(მოთხრობა ჯექ ლონდონისა).



ხედავ, ხედავ! ნავი! ვინ უსვამს ნი-  
ჩაბს აგრე უხერხულათ?

მოხუცი ბასკ-ვახ-ვანი იყურებოდა  
ზღვისაკენ.

— ეს ნემ-ბოკი არის, თქვა მან მა-  
ლალი ხმით,—განა ჩემ შვილს მე ვერ  
ვიცნობ?

— რამდენი წელიწადია რომ შენ  
სულ მაგას გაიძახი. როგორც კი ყინული  
დნობას დაიწყებს ზღვაზე, შენ ზღვისაკენ იყურები და სულ  
გეჩვენება, თითქოს ნემ-ბოკი მოდის. ის დიდი ხანია მოკვდა,  
და მკვდრები ხომ აღარ დგებიან.

— ნემ-ბოკ! — წამოიძახა მოხუცმა, დიდი გაჭირებით წამო-  
დგა და ნაპირისაკენ გაეშურა.

ნავი წყლით ივსებოდა და ვერ მიუახლოვდებოდა ნა-  
პირს, რომ ერთ ბიქს არ შეეტოვნა წყალში არ წაეფ-  
ლო ხელი ნავის ბოლოსთვის და არ გამოეთრია სილა-  
ზე. მეზღვაური წამოდგა და თვალი გადაავლო ხალხს. მას  
ეცვა ზოლებიანი ქუჩკიანი ხალათი, ყელზედ ჰქონდა შემო-  
ხვეული წითელი ხელთახაზი, ლურჯი შარვალი, მძიმე ფეხ-  
საცმელები და მეთევზეს ქუდი თავზედ — ეს იყო მისი მორ-  
თულობა.

იუკონის ღარიბი მეთევზეები განცვიფრებით შესცქერო-  
დნ მას. ესენი მიჩვეულნი არ იყვნენ უცხო ვინმეს ნახვის.  
მარტო ორჯერ ენახათ თეთრი ადამიანი — ერთი ვილაც, გამო-  
გზავნილი, ამათი ქვეყნის აღსაწერათ, მეორე კი იყო მისიო-



ნერი, რომელსაც გზა დაბნეოდა. ამათ ქვეყანაში არ მოიპოვებოდა არც ოქრო, არც ცხოველების ძვირფასი ზეწვეული, ამიტომაც იყო რომ ევროპელები აქ არ მოდიოდნენ.

— ნემ-ბოკ, დაუყვირა კუჩახმა, რომელმაც ქვაზე გამოქრა ხელოვნურათ იცოდა, ნემ-ბოკი არის, ზღვამ როგორც წაიყვანა, ისევე დაგვებრუნა.

კაცები, ქალები, ზავშვები ყველა მირბოდა ნაპირისაკენ. მხოლოდ სოფლის უფროსი, ონი-კვანი, წყნარად გადგა განზე და დიდხანს უყურებდა ახალ მოსულს.

— ეს ნემ-ბოკი არის, თქვა მან ბოლოს.

ქალებმა, შიშით უკან დაიწიეს, როდესაც გაიგეს თანხანთ უფროსის რწმენით ნათქვამი სიტყვები.

— მართალია, ეს ნემ-ბოკი დაბრუნებულა, თქვა თვითონ ახალ მოსულმა, როგორც კი შემოაღდა ფეხი ნაპირზე— გაგიმარჯოთ, ძმებო!

ონი-კვანმა ხელები გაიქნია და თქვა!

— შენ ხომ მკვდარი ხარ, ნემ-ბოკ!

— აბა მკვდარი როგორა ვარ, შეხე, როგორი გასუქებული ვარ.

— მართალია, დაეთანხმა ონი-კვანი— მკვდრები არ არიან აგრე გასუქებულები. შენ კარგათ გამოიყურები და ეს ძლიერ მაკვირვებს! ვერავინ ვერ გადურჩება ქარს, რომელიც ნაპირიდან გაჰქრის და ვისაც ეს ქარი წაიყვანს, ის არასოდეს აღარ დაბრუნდება.

— შე კი, ხედავ, დავბრუნდი, სთქვა ნემ-ბოკმა.

— ეგებ შენ მისი აჩრდილი ხარ?

— მე მშინან, და აჩრდილები ხომ არ სჭამენ.

ონი-კვანი მაინც არ იჯერებდა.

— შენ ჩემი ღვიძლი შვილი ხარ, წასჩურჩულა ბასკ-ვან-ვანმა, — მომიახლოვდი, აჩრდილი ხარ, თუ არა, რაში მეკითხება, მე მაინც მოგცემ შენ საჭმელს.

— აჩრდილი კი არა, ცოცხალი ადამიანი ვარ, თქვა ნემ-ბოკმა.

— ქვეყნის საიღუმლოვებს, ვინ გაიგებს, წამოიძახა ონი-კვანმა. იყო ნემ-ბოკი და აღარ არის, ეხლა არ ვიცით ეს ნემ-ბოკია, თუ მისი აჩრდილი?



ამაზე ნემ-ბოკმა უპასუხა:

— ხომ დიდი ხანია, რაც მამი შენისმამა წავიდა და კარგად ხნის შემდეგ ისევ დაბრუნდა, ის მიიღეთ, ოჯახის კერასთან ადგილი დაუთმეთ, და დაბრუნების შემდეგ ცოლმა ორი ვაჟიც შესძინა.

— ეგ მართალია, უპასუხა ონი-კვანმა, მაგრამ ის ხომ ქარს არ წაუყვანია, ის თვითონ წავიდა სხვა შორეულ ქვეყნებში. ადამიანს შეუძლია ყოველთვის წავიდეს უცხო ქვეყნებში და ისევ დაბრუნდეს.

— რატომ შეიძლება დედა-მიწით სიარული და ზღვით არ შეიძლება? ამბობენ მამი შენის მამამ ბევრი საოცარი ამბები მოიჭანაო. მეც ხომ შემიძლია გიამბოთ საოცარი ამბები.

და როცა დაინახა, რომ ხალხი მისკენ წამოვიდა, დაუმატა:

— მე საჩუქრებიც მომიტანია.

მან მაშინვე ამოიღო ნავიდან საოცარი ფერის შალი და დედას ბეჭებზედ წამოასხა. ქალებმა აღტაცებით შეჭკვილდეს, მოხუცი ბასკ-ვახ-ვანი სიხარულით სინჯავდა ქსოვილს.

— მას საოცარი ამბები ეცოდინება—სთქვა კუჩახმა.

— საჩუქრებიც ბევრი ექნება—დაუმატა ცოლმა.

ონი-კვანმა იცოდა, რომ მის ხალხს ძალიან უყვარს ამბების მოსმენა და უთხრა:

— წრეულს თევზი ბლომათა გვაქვს, ბევრი ქონიც და ზეთიც გვეშოვება, წამოღი, ნემ-ბოკ, ერთად ვისადილოთ.

ნემ-ბოკი გაჰყვა ონი-კვანს, მთელი სოფელიც მათ აედევნათ: შემოუსხდენ ცეცხლს პირას. სადილის მზადება დაიწყეს. ნემ-ბოკს მყრალი თევზის ქონის სუნისაგან გული ერეოდა, მადა დაეკარგა, მაგრამ მალავდა.

— ჭამე, აკი მშინაო, უთხრა ონი-კვანმა.

ნემ-ბოკმა თვალები დახუჭა და იმ ქოთანში, სადაც ელაგა მყრალი თევზი ზელი ჩაჰყო. დედამ ქონში ამოაწო სრულებით დამპალი ორაგულის დიდი ნაქერი და მიაწოდა შეილს.

ნემ-ბოკი სასოწარკვეთილებაში ჩაფარდა, ამოიღო ჩიბუხი და დაიწყო წვევა, რომ როგორმე გაექარწყლებინა საძაგელი სუნი. ბევრმა არც კი იცოდა რა არის თამბაქო და გა-



კვირვებით შესცქეროდენ მას, კუჩახმა მოინდომა გამოეცა-  
ნა თამბაქოს მოწვევა. ნემ-ბოკმა მიაწოდა თავისი ქარვის ტა-  
რიანი ჩიბუხი და მან გაქონილი ტუჩებით დაუწყო წვევა.

— გქონდეს ეგ ჩიბუხი შენ, უთხრა ნემ-ბოკმა, — მე მა-  
ინც მინდოდა შენთვის მეჩუქებინა.

გათავეს ჭამა. ყველა აქებდა ნემ-ბოკს გულ უხვობი-  
სათვის.

— აბა, ეხლა კი მოგვიყვევი საოცარი ამბები, უთხრა  
ონი-კვანმა.

ყველა მოემზადა მოსასმენელათ.

ირგვლივ შემოუსხდენ კაცები, ზოგი შუბებს აკეთებდენ,  
ზოგი კი ძვლებიდან სხვა და სხვა საგნებს, ქალები ფხეკდენ  
ქონს სელაფის ტყავიდან, და ჰკერავდენ ფეხსაცმელებს იმ ძა-  
ფებით, რომელნიც გაზაკის ძარღვებიდან იყო გაკეთებული.

ნემ-ბოკი დიდი ხანია ოცნებობდა თავისიანების ნახვას,  
ასე ერთად, ეხლა კი, როდესაც ყველას თვალი მიმოავლო,  
გული საშინლათ დასწყდა.

რა საცოდავი ღატაკი ცხოვრება აქვთ და როგორ არა  
ჰგავს იმის, ამ ბოლო წლების, ცხოვრებას! მაგრამ უნდა ეცა-  
დოს ამათ თვალები აუხილოს. ნემ-ბოკს სიხარულით სახე აენ-  
თო.

— ძმებო, დაიწყე მან, გახსოვთ ის საღამო, ქარი რომ  
ძლიერათ ჰქროდა, მე ქარს ვერ მოვერიე. წყალმა და ქარმა  
გაიტაცეს ჩემი ნავი. დილით რო გავიხედე, მიწა აღარა სჩან-  
და, ქარი კი უფრო ძლიერათ უბერავდა. მეოთხე დღეზე მე  
დავიქანცე, დავსუსტდი სიმშლიისაგან და წყურვილისაგან, ნი-  
ჩაბს ვეღარ ვიკავებდი ხელში. ზღვა კი აღარ იყო ისე განრი-  
სხებული, ქვემო-ქარი ჰქროდა, შორი-ახლოს, უცებ დავინახე  
ისეთი სასწაული, რომ მეგონა გავვიყდი მეთქი: ეს იყო ვეე-  
ბერთელა ნავი. ყველა ნავები, რომელიც კი მენახა ჩემ სიცო-  
ცხლეში ერთად რომ შემეერთებინა, მაინც ეს ნავი უფრო დი-  
დი გამოდგებოდა.

გაისმა გაკვირვებული ხმები. კუჩახმა უკმაყოფილოთ თა-  
ვი გააქნია.

— ეს იყო ძალიან დიდი ნავი, განაგრძობდა ნემ-ბოკი,  
ის მიახლოვდებოდა; მე დავინახე შიგ ადამიანები.

— მოითმინე, ნემ-ბოკ, როგორი ადამიანები იყვენ, დიდ-რონები?

— არა, იმოდენები იყვენ, როგორც ჩვენა ვართ!

— დიდი ნიჩბები ჰქონდათ მათ? ჰკითხა ონი-კვანმა.

ნემ-ბოკს გაეცინა.

— არა, იმ ნაფს სრულებითაც არა აქვს ნიჩბები.

ყველამ განცვიფრებით პირი დაალო. ჩამოვარდა სიჩუმე. ონი-კვანმა გამოართვა კუჩახს ჩიბუხი და რამდენჯერმე მოსწია—მაშ, იქ არ ჰქონიათ ნიჩბები? იკითხა ხელ-ახლათ მან.

— მათ ნიფს ჰქონდა ფრთები, აი ასეთები. ნემ-ბოკმა დახატა სილაზე ანძები და იალქნები. მამაკაცები გარს შემოერთყენ, რომ დაენახათ დახატული.

— ქარი ჰქროდა ძალიან, აი ასე, მან დაავლო ხელი დედის შალს ბოლოებში, პირი ქარისაკენ უყო. შალი ვაიბერა, როგორც იალქანი და მოხუცი გაარბენინა წყლის ნაპირისაკენ. კუჩახს გაეცინა.

— რა სისულელეა დიდი ნაფი. ქარის სათამაშო ყოფილა, საითაც ქარი დაჰქროლებს, იქით წავა.

— ქარი რომ ზურგში გცემს, მაშინ არ არის ძნელი სიარული, თქვა დინჯათ ონი-კვანმა, — პირ-ქარის დროს სიარული და მასთან ბრძოლა კი უნიჩბოთ ძალიან ძნელი იქნება.

— ქართან ბრძოლა, არც ესაჭიროება, იმ ნაფს შეუძლიან პირ-ქარშიც სიარული, ფიცხლავ წამოიძახა ნემ-ბოკმა.

— მაგას კი შეუძლებელს ამბობ, და კუჩახმა თვალით ანიშნა ონი-კვანს და ხელი წაჰკრა, გაისმა სიცილი.

— ის ნაფი დიდ ხიდან იყო გაკეთებული? ჰკითხა, სიჩუმის შემდეგ, ონი-კვანმა.

— ბევრი ხეებიდან იყო გაკეთებული, მოკლეთ უზასუხა ნემ-ბოკმა. — ძალიან დიდი იყო. ეს კიდევ არაფერი — განაგრძო მან მხიარულათ, — აბა უნდა გემი ნახოთ, როგორც პატარა მარცვალი ნავთან შედარებით არაფერია, ისე ნაფი გემს არ შეედრება. გემი რკინისაგან არის გაკეთებული.

— რას ამბობ, რასა! ნემ-ბოკ, შესძახა ონი-კვანმა, ეგ შეუძლებელია! რკინა ხომ ჩიძირება წყალში, ყველა საგნებს აქვს თავისი კანონი. უკან წაიღე შენი სიტყვები, თორემ ჩვენ ვეღარ გცემთ პატივს...



— სიმართლეს გეუბნებით, განიმეორა ნემ-ბოკმა, რკინისაგან არის გაკეთებული და წყალში არ იძირება.

— არა, მთასჯერ არა, შეუძლებელს ამბობ!

— მე თვითონ ჩემის თვალებით ვნახე.

ყველა გაჩუმებული იყო. ბოლოს ონი-კვანმა დაარღვია სიჩუმე.

— რა მოხდა მეოთხე დღეს, ნავი რო მოგინახლოვდა?

— მე ძალიან დასუსტებული ვიყავი და გადამიყვანეს თავიანთ ნავზე, პირში წყალი ჩამასხეს, კარგი საკმელი მომცეს. თქვენ ორჯერ გინახავთ თეთრა აღამიანი; აი იმ ნავზე კი ყველა თეთრები იყვენ, ძალიან ბევრი იყვენ. იმდენი, რომ თითებზე არ ჩამოითვლება. ძალიან კეთილი აღამიანები იყვენ, და მე მათთან დავჩი, რომ შემეტყუ და მენახა ყოველისფერი და მერე თქვენთვის მემამბნა. თეთრებმა მასწავლეს მუშაობა, კარგათ მაქმევდენ, მაცმევდენ, ბინაც გამიჩინეს.

დიდ ხანს მოვდიოდით ზღვაზე, უცებ ამოვარდა ქარიშხალი; ზღვის ღრიალში მესმოდა, როგორ ტალღები ნაპირს ეცემოდა! ნავი კლდეს მიეხეთქა და საშინლათ შეინძრა, ერთ წამს წყალში გავჩნდი. კლდიანი ნაპირი აღმოჩნდა და ტალღებმა ამ ნაპირზე გადამტყორცნა. ჩემს გარდა სუყველანი დაიღუპენ. მე წავედი იქეთკენ, სადაც იმედი მქონდა, რომ აღამიანს შევხვდებოდი. მალე მიველ ერთ სახლში. იქ მე მიმიღეს კარგათ, მაჭამეს და მასვეს. ეს იყო დიდი სახლი, ისეთი დიდი, როგორიც სუყველა ჩვენი და ჩვენების აშენებული სახლები რომ ერთად ავიღოთ.

— ეტყობა ძალიან დიდი სახლი ყოფილა, სთქვა კუჩხმა. მას უნდოდა დაემალა თავისი უნდობლობა.

— სჩანს ბევრი ხეები დასჭირდებოდა იმ სახლის აშენებას, თქვა ონი-კვანმა. ის მიხვდა, რომ კუჩხი ეტყვია, არა სჯერა ნემ-ბოკის სიტყვები.

— ეს კიდევ არაფერია, თქვა ნემ-ბოკმა, უნდა გითხრათ რომ, როგორც ჩვენი სახლებია პაწაწინები იმ სახლთან შედარებით, ისე ის სახლი ნამცეცათ მოსჩანდა იმ სახლებთან, რომელიც მე შემდეგში ვნახე.

— შენ ამბობ, რომ იქ აღამიანები იმოადენები არიან, როგორც ყველგან.



— იმოდენა არიან, როგორც თქვენ და მე, უპასუხანებო-  
ბოკმა. მე გამოვქერი ჯოხი, რომ უფრო ადვილად მევლო, და  
აქ რომ მოვდიოდი მეჩვენებინა თქვენთვის, ამ ჯოხზედ მე  
დანიშნული მქონდა რამდენ ადამიანსაც შეეხვებოდოდი. მე იქ  
დიდხანს დავრჩი, ვმუშაობდი და ფულს მაძლევდენ. ფული  
ძლიერ კარგი რამ არის. თქვენ არც კი გაქვთ მისი წარმო-  
დგენა. ფულით შეიძლება ადამიანმა იშოვოს საქმელ-სასმელი,  
ბინა და სხვა. ერთხელ მე წავედი იქიდან სხვაგან და იმოდენ-  
ა ხალხი ვნახე გზაზედ, რომ ჩამოთვლაც ძნელი არის. მე  
ერთხელ აი რა საოცარი რამ ვნახე: მიწაზე იღო გრძელი  
რკინა, ასე ჩემი ხელის სისქე იქნებოდა. ერთ ნაბიჯის მან-  
ძილზედ იღო მეორე იმისთანავე რკინა.

— მაშინ შენ გამდიდრდებოდი, უთხრა ონი-კვანმა, —  
რკინა ხომ ძვირფასია. რკინიდან ბევრ დანებს აკეთებენ.

— არა, ის რკინა ჩემი არ იყო.

— ხომ შენ იპოვნე, მაშ შენი უნდა ყოფილიყო.

— არა, ის რკინა თეთრმა ადამიანმა დასდო და ის რკი-  
ნები იმ სივრცე იყვენ, რომ მათი წაღება არა ადამიანს არ შე-  
ეძლო. ჩემი თვალი ვერა სწვდებოდა მის სივრცეს.

— ო, ნემ-ბოკ, ეგ ხომ ძლიერ ბევრი რკინა იქნებოდა!

— არც შე დავიჯერებდი, ჩემი თვალით რომ არ მენა-  
ხა. და რომ გაცეზებული ვიყურებოდი, უცბათ მომესმა... ნემ-  
ბოკი მოუბრუნდა უფროსს: — კვან, გაგივია შენ როდისმე  
ზღვის ლომის საზარელი ღრიალი, როდესაც ის განრისხდება!  
ახლა წარმოიდგინე, იმოდენა ზღვის ლომები, რამდენიც ტალ-  
ღებია ზღვაში, და ისიც წარმოიდგინე, რომ იმ ლომებიდან  
ერთი ლომი შესდგა და ის უზარმაზარი ლომი დმუის — აი  
ისე დმუოდა ის საგანიც, რომელიც მე დავინახე.

გაცეზებულმა მეთევზეებმა შეჰყვირეს, ონი-კვანმა გააღო  
პირი და ისე გაშეშებული დარჩა.

— შემდეგ მე დავინახე საოცრება, რამოდენიმე ათა-  
სი ვეშაპი ერთად. ის იყო ცალ-თვალა, პირიდან ცე-  
ცხლი და კვამლი ამოსდიოდა. უცებ ვიგრძენ მისი სუნ-  
თქვა. მე შემეშინდა და მოვკურცხლე, რკინებიდან გადავ-  
ხტი და იმ საშინელ ვეშაპმა გაიარა, არაფერი არა მავნო.



გონს რომ მოვედი, ის აღარ ჩანდა. იქ არც ბავშვებს, არც დედაკაცებს არ ეშინიათ მისი. მამა-კაცები ამუშავენ მას თავის სასარგებლოთ.

— როგორც ჩვენ ძაღლებს? ჰკითხა კუჩახმა.

— სწორეთ, როგორც ჩვენ ვამუშავენთ ძაღლებს.

ნემ-ბოკს მოაგონდა სამკალი მანქანა, ტელეგრაფი, ტელეფონი, გრამოფონი, და იფიქრა, რომ მისი შოქმეები ვერც გაიგებენ და არც დაუჯერებდენ, რომ მოუყვეს მის ამბავს.

— განა, რომ გითხრათ, დამიჯერებთ, რომ მე ვჯდომილვარ იმ საშინელებაში და მიმგზავრნია იმათ ქვეყნებში? ნაღლიანათ უთხრა ნემ-ბოკმა.

ონი-კვანმა ნიშნათ, რომ არა სჯერა, ხელები დააქნია.

— თქვი, თქვი რაც გინდა, ყურს გიგდებთ.

— მაშ გეტყვი, რომ მე ამ რკინის საშინელებაზედ გავიარე მთელი ქვეყანა, ვნახე მრავალი სოფლები, სანამ არ მივალწიეთ ერო, ზღვის ნაპირზე მდებარე დიდ სოფლამდე. იქ სახლის სახურავები ცას ებჯინებოდენ და ღრუბლებში იკარგებოდენ. სოფელში ისეთი ხმაურობა იდგა, რომ მოგაგონებდათ ზღვას ქარიშხალის დროს და ხალხი იმდენი, იმდენი იყო, რომ მე ჩემი ჯოხი უკუ ვაგდე, მეტს აღარ ვნიშნავდი, თუ რამდენი ადამიანი ვნახე.

— პატარა ნიშნები რომ გაგეკეთებინა, უფრო კარგი იქნებოდა.

ნემ-ბოკი გაჯავრდა.—მე აკი გითხარით, რა გინდ პატარა ნიშნები გამეკეთებინა, მაინც არ მეყოფოდა არც ერთი და არც ყველა ჯოხები.

—ამდენი ხალხი რასაც შენ ამბობ, მთელ დედა-მიწაზედაც კი არ იქნება, თქვა ონი-კვანმა.

— შენ რა იცი დედა მიწაზე და ან მის სიდიდეზე? უთხრა ნემ-ბოკმა,—ვინა ხარ, რომ ამბობ, რაა შესაძლო, და რა არა?

— ჩემი გონება ამას მეუბნება, უპასუხა ონი-კვანმა, ერთ ადგილას შეუძლებელია ამოდენა ხალხი, მათი ნაწევები მთელ



ზღვას გაავსებდენ, თევზებს ზღვაში მთლად გასწყვეტდენ და მხოლოდ მათი ხმა იყო მხოლოდ არც ყველას ეყოფოდათ.

— ეგ შენ გგონია, მე კი ჩემი თვალთ ვნახე და მხოლოდ მაშინ გადავაგდე ჩემი ჯოხი.

ნემ-ბოკმა დაღალულობით დაამთქნარა და წამოდგა.

მე ძალიან დაღალული ვარ, წავალ წავწვები, ხვალ კი ისევ მოგიყვებით, რაც მინახავს.

ბასკ-ვახ-ვანმა წაიყვანა თავისი საკვირველი შვილი თავის სახლში და მოასვენა ჭუჭყიან, აყროლებულ ტყავებზე. მამაკაცები დარჩენ ცეცხლის პირას და დიდ-ხანს რაღაცაზედ ბასობდენ და ჩურჩულდებდენ.

ნემ-ბოკს ეძინა. მისი მოძმეები კი კიდევ დიდ ხანს ცეცხლთან მუსაიფობდენ. ბოლოს კუჩახი და თემის უღეროსი წამოდგენ და ნემ-ბოკის გასაღვიძებლათ წავიდენ.

ნემ-ბოკს ნამძინარევს არ ესმოდა, რას ეუბნებოდენ, მაგრამ ონი-კვანმა მოჰკიდა ხელი და გონს მოიყვანა.

— ადე, ადე, ნემ-ბოკ, დროა!

— კიდევ უნდა ვქამოთ? ჰკითხა ნემ-ბოკმა, - მე არა მუიან, თქვენ ქამეთ.

— დროა წახვიდე აქედან! დაუყვირა კუჩახმა.

ონი კვანმა კი ტკბილათ უთხრა:

— შენ ჩემი მეგობარი იყავი, ჩვენ ბავშვობაში ერთად ვნადირობდით ზღვის ძაღლებზე; შენ მე გადამარჩინე სიკვდილს, ჩვენ ერთად სიმშლიც და სიცივეც აგვიტანია, ერთ ტყავის ქვეშ ვყოფილვართ და გაგვიტბია ერთმანეთი. ეხლა კი მე ძალიან მწყინს, რომ შენ ცრუ გამხდარხარ. ჩვენ შენი არა გვესმის რა, თავს ბრუ გვეჩვენე შენი ნაამბობის გაგონებით. ჩვენ ბევრი ვილაპარაკეთ ამაზედ და გადაწყვეტით გაგაძევოთ აქედან, თორემ ქკუა-გონება სულ აგვერევა.

ნემ-ბოკმა კარგათ იცოდა თავისი ხალხის ჩვეულება, იცოდა, რომ კრების გადაწყვეტილება შეურყეველი კანონია. ისიც იცოდა, რომ ლაპარაკი ტყუილი იქნება და ამიტომაც დანებდა მათ გადაწყვეტილებას. მათ იგი წაიყვანეს ზღვის ნაპირზედ, ჩასვეს ნავში და მისცეს ხელში ნიჩბები.



მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისათვის.

უფკუდდოური სსპოლიტიკო და სსლიტერატურო გაზეთი

# სასაღსო უურსელი

წელიწადი მეხუთე.

მომავალ 1914 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წარსულს წელს გამოდიოდა და გაზეთს ექნება კვირაობით

## სურათებიანი დამატება.

1914 წლის ხელის მომწერნი, რომელნიც მთელი წლის საფასურს გადაიხდიან მიიღებენ პრემიად

### ს ა მ ს წ ი ბ ნ ს.

გაზეთის ფასი დამატებიანათ: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., საზღვარ-გარედ 15 მ. ნახევარი წლით ტფილისში 4 მან. 50 კაპ., საზღვარ-გარედ 7 მ. 50 კ., ერთი თვით ტფილისში 75 კ., საზღვარ გარედ 1 მან. 25 კაპ.

ტალკე ნომერი ეგეგან ერთი შაური. დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის“ კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, груз. газ. „САХАЛХО ГАЗЕТИ“ почтовый ящикъ 190.

Открыта подписка на 1914 годъ

НА ГАЗЕТУ

# „Закавказская Рѣчь“

(Годъ изданія шестой).

Подписная цѣна

Съ доставкой на домъ:	Въ Тифлисъ.	Въ провинціи.
На годъ . . . . .	6 руб. — коп.	8 руб. — коп.
„ полгода . . . . .	3 руб. 50 коп.	4 руб. 50 коп.
„ 3 мѣсяца . . . . .	2 руб. — коп.	2 руб. 25 коп.
„ 1 мѣсяць . . . . .	— 75 коп.	— 75 коп.

Отдѣльный номеръ 5 коп.

АДРЕСЪ: Тифлисъ, редакция газ. „Закавказская Рѣчь“, Дворцовая ул. д. Сараджева. Для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь“.

Редакторъ Д. М. Думбадзе. Издатель Э. З. Горделадзе.



# ჯ ე ჯ ი ლ ი

საქმანწვილო ნახატებიანი ჟურნალი  
ოცდა მესამე წელიწადი.

ჯეჯილი დაარსებულია 1890 წელს.

გამოვა 1914 წ. თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა, ზატარებისათვის და მოზრდილთათვის.

**ჟურნალი «ჯეჯილი»** თბილისში ეღირება 4 მან., ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მან.

ნახევარი წლით 3 მან., ცალკე ნომერი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: **თბილისში** — «ჯეჯილის» რედაქციაში, (არტილერიის ქუჩა, № 5.)

ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ:

**ქუთაისში** — ისიდორე კვიციანიძეს.

**მიხაილოვში** — ვლად. ჩიქოვანს.

**სამტრედიისში** — რაჟდენ ნანეიშვილს.

**სიღნაღში** — კნ. ნ. ანდრონიკაშვილს.

**ჭიათურაში** ქალ. ჯაფარიძეს და — ნიკო წუწუნავის.

ფოსტის ადრესი: ВЪ тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“

რედ. — გამომცემელი ან. თუმანიშვილი წერეთლისა.

ჯეჯილის 1914 წლის ხელის მომწერლებს

ვინც ჟურნალის ფასს სრულად გადაიხდის

საჩუქრათ გაეგზავნებათ

დასურათებულ ვიგნი.

## „კუნწულა“